# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 მარტი, 2012 წელი.

№58 (6935)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## „ხელისუფლება აგონიაშია“ ②



## დისკუსია უნდა შეწყდეს!

31 მარტს – ყველანი ბათუმში! ③



## საქართველოში შეიარაღებული ფორმირებებით უკვე ნატოც დაინტერესდა ⑤



## ქართული ბაზარი თურქული ეკონომიკის ჩრდილში ⑦

## შეერთებული შტატებისთვის საქართველოს ნატოში გასაწევრებლად „ლაკმუსის ქაღალდი“ მოახლოებული არჩევნებია ⑧

## აზერბაიჯანული მედია „ჯავახეთი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ტერიტორია“ ④



## 27 მარტი – თეატრის საერთაშორისო დღე



### არ მოგკლებოდეთ აღიარება შინ და გარეთ!

მადლობა ღმერთს, ქართულ თეატრს არასოდეს მოჰკლებია საერთაშორისო აღიარება და უცხოელ მაყურებელთა აღტაცება. „საბჭოელების“ გულებს რომ მოვინადირებდით, „რკინის ფარდის“ მიღმაც გაგვქონდა ქართული ნიჭის ნაჟური, ქართული სიკისკასე, ქართული სასცენო ხელოვნების თავისთავადობა.

ასე იყო და, საბედნიეროდ, ასეა ახლაც. ის კი არა, შეიძლება ითქვას, ბატონი თემურ ჩხეიძის უსაზღვრო ფანტაზიით „ულგას სული“ პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრს, ხოლო ბატონი რობერტ სტურუა, ჩვენი დაუსრულებელი ქიშპობის შედეგად, მგონი, საბოლოოდ „მოგვტაცეს“ რუსებმა...

თუმცა, მოდით, ნუღა გავყვებით ამ თემას და ვუსურვოთ ქართული სცენის ოსტატებს, რომ არც შინ მოჰკლებოდეთ აღიარება, და არც საერთაშორისო ასპარეზზე!

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

სურათზე: „კავკასიური ცარცის წრის“ დამთავრების შემდეგ დიდხანს ილებდნენ მაყურებელთა ტაშსა და ოვაციას სპექტაკლის მონაწილენი და, განსაკუთრებით, ბრწყინვალე რამაზ ჩხიკვაძე.

საგანგებო ბრიფინგი

# „ხელისუფლება აგონიაშია“

**„ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ 10 დღე დარჩა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენამდე. ბიძინა ივანიშვილს მოსახლეობამ უპრეცედენტო მხარდაჭერა გამოუცხადა, როდესაც 100 ათასობით ადამიანმა ხელი მოაწერა მისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნას. ამავე საკითხზე გასულ კვირაში NDI-ს კვლევების შედეგები გამოქვეყნდა — 70-პროცენტიანი მხარდაჭერა! ბიძინა ივანიშვილს მხარი დაუჭირეს საერთაშორისო საზოგადოებამ და ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმაც. „ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ხელისუფლება იძულებული იქნება მას მოქალაქეობა აღუდგინოს. ხელისუფლება ეცადა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური საქმიანობის დანაშაულებრივი სურათი დაეხატა და ამით საბაბი მისცემოდა მოქალაქეობაზე უარის სათქმელად. მან გამოიყენა მრავალი ულირსი მეთოდი ამისთვის, ქვეყნის მასშტაბით 300-ზე მეტ ადამიანზე გამოიყენა ზეწოლა ყოვლად დაუშვებელი ფორმებით, თუმცა არაფერი გამოუვიდა“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ. იგი იმედოვნებს, რომ 5 აპრილისთვის ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი დადებითად გადაწყდება.**



მაია ფანჯიკიძემ ისაუბრა დიპლომატებთან შეხვედრისას ირაკლი ალასანიას გაკეთებულ განცხადებაზეც. მან ჟურნალისტებს ამის თაობაზე „ქართული ოცნების“ სპეციალური განცხადება გააცნო — ხელისუფლება სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის მოსახლეობის დარბევისა და დაშინებისთვის ქმნის და იყენებს არაფორმალურ ჯგუფებს. ასეთი ჯგუფები გამოიყენა 2007-09 წლებში სხვადასხვა აქციის დარბევის დროსო. **„არსებობს ამგვარი ფაქტების ამსახველი მრავალი ფოტო და ვიდეომასალა. არაერთი კადრი გავრცელდა, როგორ უსწორდებოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული შეიარაღებული პირები ოპოზიციურად განწყობილ თანამოქალაქეებს. მას შემდეგ ჩატარებულ ყველა არჩევნებზე აღნუსხულია მსგავსი ტიპის შეიარაღებული დაჯგუფებების აქტიურობა, თუმცა არც ერთ ფაქტზე რეაგირება არ მომხდარა და გამოძიება არ ჩატარებულა“.**

სწორედ ამიტომ და იმის გათვალისწინებით, რომ ამჯერად მაინც დროულად აღიკვეთოს მსგავსი უკანონობა და მოხდეს მისი პრევენცია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ მოიპოვა და ეროვნული უშიშროების საბჭოს შესასწავლად გადასცა ინფორმაცია ზუგდიდში არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების ფორმირების შესახებ, სადაც დასახელებული იყო ამ დაჯგუფებების დისლოკაციის ადგილი და მათი წევრების ჩამონათვალიო.

**„ის, რომ ჩვენი ეჭვები საფუძვლიანია, მტკიცდება იმითაც, რომ ალასანიას მიერ გადაცემულ სიაში მოხსენიებულთა შორის არიან კრიმინალური წარსულის მქონე ნასამართლევი პირები, კერძოდ, მითითებულია საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი რამდენიმე კრიმინალის გვარი, მოქმედი კანონმდებლობით კი სარეზერვო სამსახურში არ მიიღებიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირები, ასევე, შეიარაღებული ხალხი იკრიბება კერძო სახლებში. თითოეული ჯგუფი დაკომპლექტებულია იმ სოფლის მაცხოვრებლებით, სადაც ეს სახლებია, და ეს ფაქტიც არანაირად არ თავსდება სამხედრო რეზერვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში, ანუ მარტივად რომ ითქვას, ეს უკანონობაა“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლებამ დაიწყო რეზერვისტების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. მუშავდება ნებაყოფლობითი რეზერვის კონცეფცია, რითაც ხელისუფლება ცდილობს, დააკანონოს უკანონობა და კანონიერი საფუძველი შექმნას ალასანიას მიერ გაცხადებული ფაქტების საპასუხოდ.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ზუგდიდში „თავისუფალი დემოკრატების“ მხარდამჭერი სერგო ჩაჩიბაიას დაკავება უკავშირდება ალასანიას განცხადებას, ხელისუფლება ფიქრობს, რომ ალასანიას მოპოვებული ინფორმაციის წყარო არის სწორედ სერგო ჩაჩიბაია.

**„ვრცელდება ინფორმაცია, რომ მისმა ახლობლებმა დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი, შესაბამისად, მას არ ჰქონდა ადვოკატის ყოლის უფლება.**

**ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ზუგდიდში ჩავიდა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი და ამჯერად სავარაუდოდ, პოლიციის შენობაში მისი დაკითხვა მიმდინარეობს, მას ბრალი წაეყენება პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის მუხლით, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია“.**

კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად ხელისუფლებამ სრულიად გაუგებარი რიტორიკა გამოიყენა საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისა და დიპლომატიური მისიების წინააღმდეგ — აღნიშნა პრესსპიკერმა.

**„ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ხელისუფლება კარგად ხვდება, ძალაუფლებაში ყოფნა დიდხანს აღარ უწერია და ამის გამო აგონიაშია ჩავარდნილი“.** მაია ფანჯიკიძის თქმით, სხვა ახსნა არ მოეპოვება იმას, თუ რატომ ლანძღავს საქართველოს პრეზიდენტი დიპლომატიურ მისიებსა და სხვა ქვეყნების მთავრობებს, და რატომ იმეორებენ მის სიტყვებს მისი ბანაკის წევრები.

**„კოალიცია „ქართული ოცნება“ კატეგორიულად აცხადებს, რომ სააკაშვილის და მისი წარმომადგენლების მიერ გაკეთებული მსგავსი შინაარსის განცხადებები უკვე სცილდება მმართველი გუნდის პოლიტიკის ინტერესს, სახელმწიფო ურთიერთობის ცივილიზებულ ფორმას და საშიში ტენდენციის ხასიათს იღებს. ასეთ განცხადებებს არაფერი აქვთ საერთო ეროვნულ თავმოყვარეობასთან და გამოწვეულია მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გარდაუვალი დამარცხების შიშით“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძემ სრულიად მიუღებელი და მომავალი თაობების შემლახველი კანონი უწოდა გარემოს დაცვის ახალ კანონს, იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 20 მარტს დაჩქარებული წესით დაამტკიცა.

**„ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია შეთანხმების დადება დაინტერესებულ პირებსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის, რის შემდეგადაც დაინტერესებული პირის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება ჩაითვლება კანონიერად სახელმწიფოსთვის გადახდილი გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ. ამგვარი შეთანხმების საფუძველზე პიროვნებას აღარ დაეკისრება არანაირი სახის სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რაც დაკავშირებულია მის არამართლზომიერ საწინააღმდეგო საქმიანობასთან და მის მიერ ჩადენილი ქმედება კანონიერად ჩაითვლება“...** — განაცხადა ფანჯიკიძემ. მისი თქმით, ამ ცვლილებების მიხედვით, ასევე დაუშვებელია ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირის შემოწმება მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან და რაიმე სახის ჯარიმისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრება. **„ვფიქრობთ, ცვლილებების ეს პაკეტი ნოყიერ ნიადაგს ქმნის ელიტარული კორუფციისთვის“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ეს კანონი ემსახურება მხოლოდ იმას, რომ ხელისუფლებამ მიიღოს სწრაფი შემოსავალი და ამით საფრთხეს უქმნის მომავალი თაობების ჯანმრთელობას — დაასკვნა ფანჯიკიძემ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

პრესკონფერენცია

# „საქართველოს გზის“ წევრები ხელისუფლებას თავის ვარიანტს სთავაზობენ

**პარტია „სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მამუკა ბალიაშვილმა პარტიის ოფისში პრესკონფერენცია გამართა.**

პრესკონფერენცია 2 ძირითადი თემისგან შედგებოდა. პირველ საკითხად მოიაზრებოდა ის თემა, რომელიც დღესდღეობით თბილისის მცხოვრებთათვის ყველაზე სერიოზულია ეკონომიკური თვალსაზრისით: ეს არის დასუფთავების ღირებულების ელექტროენერგიის გადასახადზე მიბმა, ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ პარლამენტის მიერ შემოღებულმა ახალმა ფორმულამ კოლოსალური პრობლემები გაუჩინა მოსახლეობას.

ამან ხელისუფლება აიძულა დაეწყო გამოანგარიშება და შესაძლებლოა, საკრებულომ ძველი გადაწყვეტილება შეცვალოს.

ამასთან დაკავშირებით კონსულტაციას მართავენ ქრისტიან-დემოკრატები. ისინი ხელისუფლებისგან მოითხოვენ აღნიშნული გადასახადის სეზონურ შეცვლას, რაც „საქართველოს გზის“ წევრების თქმით არარეალური და დაუშვებელია.

„საქართველოს გზის“ ახალგაზრდული წევრები ხელისუფლებას თავის ვარიანტს სთავაზობენ: დასუფთავების გადასახადი იყოს დენზე „მიბმული“, მაგრამ ამასთან განისაზღვროს სულადობრივად გადასახადი, მაგრამ არა ყოველ დახარჯულ ერთ კილოვატზე 5 თეთრის ოდენობით. ვფიქრობთ, ეს ვარიანტი მარტივია, ამას უბრალოდ ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული ციფრების დათვლა სჭირდება, რათა დასუფთავების სამსახურმა დამოუკიდებლად შესძლოს ფუნქციონირება. ამ ეტაპზე ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რადგან თბილისის მცხოვრებნი ვერ იხდიან დენისა და დასუფთავების გადიდებულ გადასახადს ერთად, აღნიშნა პრესკონფერენციაზე მამუკა ბალიაშვილმა.




გარდა ამისა კიდევ ორ თემას შეეხო. ის, რაც პოლიციის შენობებში გამჭვირვალე ხდება, ერთი შეხედვით სულაც არ არის გამჭვირვალეო.

ორგანიზაციის თავმჯდომარე კიდევ ერთ თემას — ხელოვნებას შეეხო. გაირკვა, რომ პრობლემები აქაც უხვადაა. ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელმა მიშა ანთაძემ ორმოცდაათი მსახიობი გაათავისუფლა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ხელი მოაწერეს ბიძინა ივანიშვილის დახმარების მილებაზე, თუმცა ეს არ იყო მსახიობთა გათავისუფლების პირველი შემთხვევა. 2009 წელს თეატრის ხელმძღვანელმა მიშა ანთაძემ მსახიობები მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებების გამო გაანთავისუფლა მათ შორის ნათელა მაჭავარიანი. მამუკა ბალიაშვილის განცხადებით მიშა ანთაძე ძალიან ახლო ურთიერთობაშია სააკაშვილთან, მერაბიშვილთან, რურუასთან. მისივე განცხადებით თეატრისთვის განკუთვნილ თანხებს ის პირადი ინტერესებისთვის იყენებს და ამის გამო მსახიობებს ხშირად ხელფასი თვეობით არ ეძლევათ.

ჩვენ მოვითხოვთ, 2009 წლიდან დღემდე გათავისუფლებული ყველა მსახიობი თუ ტექმუშაკი დაუბრუნდეს თავის სამუშაო ადგილებს. გამორიცხული არ არის რომ ახლო მომავალში ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრი მიშა ანთაძის სახელით შეიცვალოს, იხუმრა ბოლოს ორგანიზაციის თავმჯდომარემ მამუკა ბალიაშვილმა.

**ირინა ოზოლაშვილი**

ტრანსპორტი

# „ყვითელი ჭირი“ გრძელდება!..

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, თბილისის მერია მაისიდან მუნიციპალური ტრანსპორტის, კერძოდ, ყვითელი ავტობუსების გაუქმებას მისი სამარშრუტო ტაქსებით ჩანაცვლებასა და მგზავრობის ღირებულების ლარამდე გაზრდას გეგმავს.**

პარტიის რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელის გია ყრუაშვილის თქმით, ეს ინფორმაცია მათ მძღოლებმა მიაწოდეს.



— მერიის გადაწყვეტილების მიზეზი ხარჯების შემცირებაა. როგორც ცნობილია, ავტობუსებიდან შემოსული თანხა ვერ ფარავს მერიის მუნიციპალიტეტის სამსახურში დასაქმებულთა ხელფასებს. ამის გარდა, ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა ტრანსპორტის 90 პროცენტს, რის გამოც მათი შეკეთების ხარჯები ყოველთვიურად რამდენიმე ათეულ ათას ლარს უტოლდება. სამარშრუტო ტაქსების ბიზნესს სრულად აკონტროლებს გიგი უგულავა. ამდენად, სახელისუფლებო კლანი წინასაარჩევნოდ დამატებითი შემოსავლების მიღებაზე ზრუნავს, რასაც ეწირება თბილისის მოსახლეობის ინტერესები. მოვითხოვთ, მერიამ დაადასტუროს ან უარყოს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე — განაცხადა გიორგი ყრუაშვილმა, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე. მისით ქმით, იგი გუშინ იმყოფებოდა გლდანის ავტოფარეხში და პირადად ნახა მწყობრიდან გამოსული ავტობუსები.



საგულისხმოა, რომ ხელისუფლება კარგა ხანია ემზადება ამ ცვლილებებისთვის. საავტობუსო ხაზების მოხსნისა და შემცირებული რაოდენობის შემდეგ საზოგადოებისთვის გადაადგილება უფრო ძვირი გახდა და გარკვეულ დაბრკოლებად იქცა. მოქალაქეებს რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ, ამიტომაც იძულებული გახდნენ ესარგებლათ სამარშრუტო ტაქსებით, რადგანაც მგზავრობის ხარჯები იგივეა, და დროც ეზოგებათ.

საინტერესოა, სანამდე გაგრძელდება ეს „ყვითელი ჭირი“, რომელიც ჩვენს სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს!

**გულნაზ გახარია**

## 31 მარტს – ყველანი ბათუმში!

**ძვირფასო თანამემამულენო, დებო და ძმებო ქართლელებო, კახელებო, მესხებო, ჯავახებო, თუშებო, ხევსურებო, მთიულებო, ხეველებო, ფშავლებო, რაჭველებო, სვანებო, აფხაზებო, ოსებო, მეგრელებო, იმერლებო, გურულებო, მოგმართავთ ყველას, განურჩევლად აღმსარებლობისა და ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებისა, ვისთვისაც სულერთი არ არის ჩვენი ერის ღირსეული მომავალი.**

**გადაწყვეტილება, წერილით მოგვემართა თქვენთვის, მიგვაღებინა ჩვენთან, აჭარაში შექმნილმა ურთულესმა მდგომარეობამ. კერძოდ, საქმე ეხება საქართველოსა და თურქეთს შორის გახმაურებულ მიმდინარე მოლაპარაკებებს ქ. ბათუმში დამპყრობელ სულთან აზიზის მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით.**

ხელისუფლება და მისი მლიქვნელი არაერთი მეცნიერი, ექსპერტი და თუ ფსევდოოპოზიცია საზოგადოებას აღნიშნული პროექტის განხორციელებას წარმოუდგენენ თითქოსდა როგორც კეთილშობილურ მისიას თურქეთში ჩვენი ისტორიული ძეგლების გადასარჩენად. ბათუმში სულთან აზიზის მეჩეთის ან მუზეუმის მშენებლობაში კი ვერავითარ სირთულეს ვერ ხედავენ თურქეთთან მეგობრობისა და აჭარის მკვიდრ ქართველ მუსლიმანთა თანადგომის გარდა, რაც სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს. სინამდვილეში, აღნიშნული პროექტი ღრმად გააზრებულ ანტიქართული პოლიტიკაა. რაც შეეხება თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებს, საქართველოზე, კერძოდ აჭარა-მესხეთზე მისი პრეტენზია ყველასთვის უკვე კარგადაა ცნობილი. ამაზე ოცნებას ჩვენ მათ ვერ დავუშლით, მთავარია, ჩვენ რას ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის დასაცავად. „ციხე შიგნიდან ტყდებაო“, გვასწავლის ქართული ანდაზა; **„სადაც არის ძუნწი და მლიქვნელი, იქ გამოჩნდება მზაკვარი ჭკვიანი, რომელიც ამ უკანასკნელს წარმართავს თავისი გეგმების მიხედვით“**, – გვასწავლის ბრძენთა გამოცდილება, სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე... საქართველოს ხელისუფლება ბათუში სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობას, როგორც უკვე ვახსენეთ, ამართლებდა თითქოსდა აჭარის მკვიდრ მუსლიმან ქართველთა ინტერესების დაცვის მიზნით, რომ ისინი თითქოსდა იცავენ ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებებს შევიწროებისაგან, რაც სრულიად უსაფუძვლო და რელიგიით აშკარა სპეკულირება იყო. მათი მიზანი სინამდვილეში იყო თურქეთის წინაშე აღებული ვალდებულებების გარდა მოახლოებული არჩევნების დროს კარგად დაგეგმილი მაპროვოცირებელი პიარ-კამპანიებით მოსახლეობის ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით. ასევე აჭარის მკვიდრ მოსახლეობაში, ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის შუღლის ჩამოგდება, პრინციპით: დაყავი და იბატონე.

ხელისუფლებამ ნამდვილად მოახერხა ყურადღება გადაეტანა არჩევნების სამზადისიდან სხვა მიმართულებით. სულთან აზიზის მეჩეთი ყველაზე აქტუალურ თემად იქცა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ვერ მიაღწია მთავარს: ქართველ და მუსლიმან ძმებს შორის შუღლის ჩამოგდებას...

ქართველ მუსლიმანთა მიმართვამ პრეზიდენტისადმი, რომელშიც გამოიხატება მთლიანად აჭარის მუსლიმანური მრევლის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, ხელისუფლება ამხილა ანტიეროვნულ ქმედებებში და მთლიანად გააშიშვლა. ისტერიკაში ჩავარდნილთ სხვა არგუმენტი რომ აღარ შერჩათ სულთან აზიზის მეჩეთის მშენებლობის გასამართლებლად, ახლა უკვე ქართველ ხალხს, ვინც ვეწინააღმდეგებით აღნიშნულ ანტიეროვნულ პროექტს, ანტითურქულ განწყობასა და ქსენოფობიაში გვდებენ ბრალს. სრულებით არ უწევენ ანგარიშს ჩვენი ხალხის ნებას, უხეშად იმუქრებიან აღნიშნული პროექტის განხორციელებით, რაც სინამდვილეში საფრთხეს უქმნის ქართველ და თურქ ხალხს შორის მეგობრობასა და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 90-იანი წლებიდან (და არა ოდითგანვე, როგორც ამას გვახვევენ თავზე) დაიწყო და ვითარდება. ისმება კითხვა – რატომ მივეცით ქართველმა ხალხმა მათ ამდენის ნება?

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ კულტურის, რელიგიის მთავარი დანიშნულება ადამიანის გაკეთილშობილებაა, ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვაა. დიდი ხანია ვხედავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელნი ასეთი კეთილშობილური მისიისათვის არა არიან მოწოდებულნი.

რადგანაც ეს თვისებები უცხოა ხელისუფლებისა და მისი დემაგოგებისათვის, მაშინ ჩვენ, ქართველმა ხალხმა ერთად, ამ ყველაფერ უმსგავსოებას ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა გავცეთ, რათა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. დისკუსია ამ თემაზე – დამპყრობლის სახელობის მეჩეთი ან მუზეუმი აშენდეს თუ არა, უნდა შეწყდეს. საზოგადოებაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული ჭეშმარიტი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის კარგი და რა ცუდი ჩვენი ეროვნული ღირსებისთვის, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის.

# დისკუსია უნდა შეწყდეს!



ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი, მოკლედ გავამახვილოთ ყურადღება იმ ზნეობრივ საკითხებზე, რაც პირდაპირ კავშირშია აღნიშნულ საკითხებთან და სამართლიან პასუხს იძლევა.

უძველესი დროიდან ადამიანებს ყოველ დროში, ყოველ ერში, ყველაზე მაღალი შეფასება თუ რამე ადამიანის შესაფასებლად დაუწესებიათ, ეს არის ქვეყნის ერთგული ადამიანებისთვის სიტყვა „მამულიშვილი“, ასევე სიტყვა „მოღალატე“, ვინც საკუთარი ქვეყნის ინტერესების სანაცვლოდ ემსახურება სხვა ქვეყნის ინტერესებს. არის ასევე „გულგრილი“, რომელსაც ქვეყნის ძნელბედობის ჟამსაც კი მხოლოდ საკუთარი მუცლის გარდა არაფერი ადარდებს და არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ღმერთისა და თავისი ხალხის წინაშე.

საქართველოს ანტიეროვნული ხელისუფლება, თავისუფლების ინსიტუტი და მისი დემაგოგები ეროვნულ ცნობიერებასთან ბრძოლას ღირებულებათა გადაფასების პროცესს უწოდებენ, რომელიც სინამდვილეში ზნეობასა და უზნეობას შორის დაუნდობელი ბრძოლაა. მათ სურთ, ყოველგვარი გარყვნილება წარმოაჩინონ, როგორც ზნეობრივი პროგრესი, მათ შორის ეროვნული ინტერესებით ვაჭრობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას. ასეთი დამოკიდებულება ნორმალური, ღირსეული საზოგადოებისთვის, ერისთვის ყოვლად მიუღებელია. ისევე, როგორც ათი მარადიული მცნებიდან არ იპარო, არასოდეს იქნება ჩანაცვლებული – მოიპარეთ, არ იმრუშო – მრუშობით, არ მოკლა – მკვლელობით, დიდსულოვნება – სიძუნწით, სიკეთე–ბოროტებით, ასევე არასოდეს იქნება მოწონებული ქვეყნისთვის მზრუნველობის – გულგრილობით, საკუთარი ქვეყნისადმი ერთგულების – გამყიდველობით შეცვლა. ეროვნული ინტერესებით ვაჭრობას, უბრალოდ ღალატი ჰქვია.

ყალბი დემოკრატიის მქადაგებელნი მოსახლეობას თავს ახვევენ იმ მოსაზრებას, რომ ყველას ყველაფერი შეუძლია ილაპარაკოს, როგორც იტყვიან, „ეს მისი აზრია“ და ა.შ. დიახ, მართალია, მისი აზრია, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი აქვს, კარგს – კარგი, ცუდს–ცუდი, ყველაფრის საზომი ხომ ადამიანია. ჩვენ დღეს ვკარგავთ სწორედ ავისა და კარგის შეფასების უნარს, გაბედულებას იმის შიშით, რომ ვილაცა პროვოკატორი, დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ქსენოფობიაში სრულიად უსაფუძვლოდ დაგვდებს ბრალს. **„ვისაც არ მოსწონს ძრახვა, ნურას იქმს საძრახისსაო“**, – გვასწავლის ბრძენთა დარიგება. ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქვა... ამბოზს თანამემამულეთა ღალატითა და გულგრილობით გაკვირვებული დავით გურამიშვილი. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ქვეყნის მოღალატეს თავისი სახელი უნდა ჰქონდეს, ქვეყნის გულშემატკივარს კი თავისი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოებრივ და ეროვნულ უსაფრთხოებას, სხვაგვარად, მერწმუნეთ, საქართველოს გადარჩენა არ უწერია.

ვის შეუძლია მოუვიდეს აზრად, რომ ჩატარდეს გამოკითხვა და ჰკითხო წესიერ, საღად მოაზროვნე ადამიანს, განურჩევლად აღმსარებლობისა, ქრისტიანს თუ მუსლიმანს, ვისაც წინაპართა სისხლითა და განუზომელი სულიერი ტრავმის შედეგად აქვს შენარჩუნებული თავისი მიწა-წყალი: **უნდა თუ არა მის ქვეყანაში დაიდგას მისი ქვეყნის დამპყრობლის სახელობის მეჩეთი ან სხვა რაიმე ნაგებობა?** ეს პიროვნების შეურაცხყოფასთან ერთად დანაშაულიცაა.

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ: დამპყრობელ სულთან აზიზის მეჩეთის ან მუზეუმის მშენებლობა ქალაქ ბათუმში ან სხვაგან, საქართველოს ტერიტორიაზე, დაუშვებელია ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი დამპყრობლისა. იგი ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას და ინტერესებს, საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ უსაფრთხოებას, მასში შორს გამიზნული მზაკვრული გეგმა, საქართველოზე გამარჯვების სიმბოლო ჩანს. მას არავითარი კავშირი არ აქვს რელიგიასთან და წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა.

აჭარის მუსლიმანი და ქრისტიანი მრევლი ერთსულოვანია იმაში, რომ მეჩეთი, ეკლესია ან სხვა აღმსარებლობის მიმდევართა სალოცავი უნდა აშენდეს ადგილობრივი მრევლის მოთხოვნილებით და საშუალებებით და არა პოლიტიკოსთა მითითებით, მით უმეტეს უცხო ქვეყნებისა.

ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიგო ან არ უნდა გაიგოს, რატომ ვეწინააღმდეგებით დამპყრობლის სახელობის მეჩეთის მშენებლობას, ვინც ამაში ვერავითარ ხიფათს ვერ ხედავს, მათთვის, მოკლედ და საფუძვლიანად კიდევ ერთხელ წარმოვადგენ ამ მხრივ აჭარაში შექმნილ ვითარებას.

აღნიშნული პროექტის განხორციელების იდეას, საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით წინ უძღოდა თურქეთის სახელმწიფოს მიერ აჭარაში განხორციელებული მთელი რიგი წინაპირობები:

**1. აჭარის შავიზღვისპირეთის საუკეთესო მიწების 75% თურქ ბიზნესმენთა საკუთრებაში გადავიდა;**

**2. ქალაქ ბათუმის ირგვლივ, ყველა სტრატეგიული სიმაღლე, სადაც ადრე ყველა დამპყრობელს სამხედრო ბაზები ჰქონდა განლაგებული, დღეს უკვე თურქ მოქალაქეთა მფლობელობაშია!**

**3. ქ. ბათუმის აეროპორტი თურქეთის სახელმწიფოს ადგილობრივ მომსახურების ქსელს მიეკუთვნება, ანუ თურქეთის აეროპორტად ითვლება;**

**4. ყოველდღიურად იზრდება ქ. ბათუმში თურქი ეროვნების ადამიანთა რიცხვი ორმაგი მოქალაქეობის ხარჯზე. გაჩნდა უბნები, სადაც ჩვენ, ქართველები თავს უმცირესობაში გვრძნობთ.**

**5. თურქეთის სახელმწიფო თურქეთის მოქალაქეებზე აჭარაში დასამკვიდრებლად საკუთარი ბიზნესის წარმოებისათვის გასცემს სპეციალურ კრედიტებს, რომლის მიხედვითაც წამგებიანი ბიზნესის შემთხვევაში სახელმწიფო ანაზღაურებს დანაკარგს. როგორც ჩანს, თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკით, მთავარია რაც შეიძლება მეტი ეთნიკური თურქი დასახლდეს აჭარაში.**

**6. ცნობილი ფაქტია, რომ სტამბოლში, ანკარაში და სხვა ქალაქებში მთლიანად აიკრძალა აზარტული თამაშების კლუბები, კაზინოები. კაზინო ნებადართულია მხოლოდ კუნძულ კვიპროსის თურქულ ნაწილში. ამ დროს ქალაქი ბათუმი თურქ ბიზნესმენთა მიერ კაზინოების, სათამაშო ბიზნესისა და გარყვნილების ცენტრად გადაიქცა. თურქული ღამის კლუბები, საროსკიპოები სიდუხჭირეში ჩავარდნილ ქართველი გოგონებისა და ქალბატონებისათვის ერთგვარი სატყუარაა, რის შედეგადაც კატასტროფულად იზრდება პროსტიტუცია. აჭარა, სარფის საბაჟოდან დაწყებული, თურქეთისთვის გასართობ ობიექტს წარმოადგენს, რასაც სამწუხარო რეალობა სინამდვილეში მოწმობს.**

**თურქი მოქალაქეები საქართველოს ხელისუფლების განუზომელი მხარდაჭერით სარგებლობს, მაშინ როცა ჩვენი მოსახლეობა ყოველმხრივ დაუცველია.**

**7. თურქ ბიზნესმენთა საწარმოებში მომუშავე ჩვენს თანამემამულეთა ხელფასი დაძაბული შრომის მიუხედავად არ აღემატება საარსებო მინიმუმს. თურქეთის მოქალაქე მუშის გვერდით, ქართველი მუშა დამამცირებელ ხელფასს იღებს.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამწუხარო რეალობაა, რომ თურქეთს აჭარაში ქართველებზე გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს. აჭარის მთავრობა ლევან ვარშალომიძის მეთაურობით, თავისი შემოსავლებით კმაყოფილი, ცენტრალური ხელისუფლების მონურად მორჩილი, ამ ყველაფერზე დუმს.**

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში აჭარის ოფიციალურად გასაფორმებლად დარჩენილი არის რამდენიმე სხვადასხვა ღონისძიება. ერთ-ერთი მთავარი მათ შორის არის სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობა. მისი მთავარი დანიშნულება მეჩეთის ან მუზეუმად ფუნქციონირების შემთხვევაში არის ის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას, ასევე ჩვენს თანამედროვე და მომავალ თაობებს დაანახვოს, რომ აჭარა-მესხეთი ოდითგანვე თურქ-ოსმალთა განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო...**

**საქართველოს ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ საქართველოში ამ მოვლენას უკვე საფუძველი მოუმზადა. დანარჩენი დროის ფაქტორია.**

იხ. 4 გვ.

### ◎ სხვა გაზეთებიდან

## აზერბაიჯანული მედია

# „ჯავახეთი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ტერიტორია“



**„სომხეთს ზურგსუკან მუდამ დამალული აქვს ქვა, იმისათვის, რომ საქართველოს ესროლოს რომლისგანაც მხოლოდ სიკეთე ახსოვს“,** — ნათქვამია აზერბაიჯანულ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით — **„ჯავახეთი: საქართველოსთვის ზურგს უკან დამალული სომხური ქვა“.**

**„თუ ჩვენი ქვეყანა ცდილობს სულ უფრო ახალი და ახალი მეგობრები შეიძინოს, ზრდის თავის ავტორიტეტსა და თავის ნაციონალურ ინტერესებზე დამყარებულ საგარეო პოლიტიკის დაცვის შესაძლებლობას, სომხეთი, რეგიონში დესტაბილიზაციის როლს ასრულებს, რაც სავსებით ლოგიკურად ესადაგება მისი არა თუ მეგობრების რიცხვის, არამედ ამ არჩევანის თანამგრძნობი ქვეყნების რაოდების შემცირებას. არადა, როგორ უნდა თანაუგრძნო მას, რომელსაც ზურგს უკან მუდამ დამალული აქვს ქვა, იმისათვის, რომ ამჯერად სწორედ მას ესროლოს, რომლისგანაც მხოლოდ სიკეთე ახსოვს?“,** — ნათქვამია სტატიაში და იქვე აღნიშნულია, რომ — სწორედ ამ მუდმივად ზურგს უკან დამალული ქვის დემონსტრირება მოახდინა სომხეთმა მეზობელი საქართველოს მიმართ, როდესაც ე.წ. „რუსეთის ჯავახკური დიასპორის“ წარმომადგენლებმა რუსული მედიის მეშვეობით, გაავრცელეს განცხადება იმის შესახებ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოში გაწევრდება მის ტერიტორიაზე კიდევ ერთი „სახელმწიფო ჯავახკი“ გაჩნდება.

**„თუ ვინმემ ვერ გაიგო ამჯერად რაზე ლაპარაკობენ სომხები, გეტყვით, რომ ჩვენს წინაშეა მათი მორიგი პრეტენზიები მეზობელი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.**

**ჯავახეთი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ტერიტორია. ზუსტად ისევე, როგორც სომხური ფაქტორი იყო, არის და იქნება ნებისმიერი გარე ძალების მიერ ყოველთვის გამოსაყენებელი დესტაბილიზაციის გამომწვევი“,** — ნათქვამია სტატიაში, რომლის ავტორიც მას მაგალითების მოყვანით აგრძელებს.

**„ასე იყო აზერბაიჯანის მიმართაც, როდესაც ჩვენი ქვეყნის სომეხი ეროვნების მოქალაქეებმა ღალატი განახორციელეს სამშობლოს მიმართ და იარაღით ხელში აზერბაიჯანელი ეროვნების თავისსავე თანამოქალაქეების წინააღმდეგ წავიდნენ. ეს კი იმ სეპარატისტების სურვილის ასასრულებლად გააკეთეს, რომლებიც აი უკვე ოც წელზე მეტია მსოფლიოს არც ერთმა სახელმწიფომ არ აღიარა, მათ შორის — არც სომხეთმა.**

**ასევე ხდება დღეს, როდესაც ჯავახეთის სომხები საქართველოს მიმართ თავის მოღალატეობრივ ბუნებას ავლენენ“,** — წერს ავტორი.

მისივე თქმით, უკვე დიდი ხანია ცხადია, რომ **„სომხებით დასახლებულ საქართველოს რაიონებში სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე“ საუბარი, სინამდვილეში მხოლოდ მცდელობაა სომხური მხარისა, გაახმოვანოს თავისი დაუცხრომელი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ.**

**„ახლა კი, როდესაც დღის წესრიგში საქართველოს ნატოს წევრობა დადგა, სომხურმა მხარემ თავისი დამალვა ვერ შეძლო. დიახ, ამ პრეტენზიების რეალიზაციისათვის სომხური მხარე ეყრდნობა საგარეო მხარდაჭერის საკმაოდ შთამბეჭდავ ფაქტორს მსოფლიო სომხებისა და რიგი დიდი სახელმწიფოების სახით“,** — წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ სომხური ლობისტები ჯავახეთისთვის ფულის გამოყოფის მოთხოვნას უკვე აშშ-ის სენატშიც იწყებენ.

**„აშშ-ის სენატში მყოფმა სომხური დიასპორის მოციქულებმა, უკვე დაიწყეს საკითხის წამოწევა აშშ-ის ბიუჯეტიდან ჯავახელი სომხებისთვის ცალკე დახმარების გამოყოფის შესახებ. ამ ახალ ამბავს სომხეთის სამთავრობო მედიასაშუალებებში მთავარი ადგილი უჭირავს. ამასთან ერთად, სომხეთის ხელისუფლებისა და ელიტის მიერ ანტიქართული განწყობილებების გაბუქება და ამ ქვეყანაში სეპარატისტული მიდგომების დათესვა არ წყდება“,** — ნათქვამია სტატიაში, რომლის ავტორსაც თავისი სიტყვების დასტურად რამდენიმე ფაქტიც მოჰყავს.

**„ჯავახკი სომხეთისათვის სახალხო ბავშვის მდგომარეობაში რჩება და 2012 წლის ბიუჯეტი ამას ამტკიცებს კიდეც“,** — განაცხადა 15 ნოემბერს სომხეთის პარლამენტის უპარტიო დეპუტატმა რესპუბლიკური პარტიის ფრაქციიდან აიკ სანოსიანმა. მისი თქმით, სომხეთის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული დახმარება საქართველოს სომხებით დასახლებულ ოლქ ჯავახეთისათვის.

**„ეს ყველაფერი გავს იმას, რომ შენი შვილი შენს მეზობელს მისცე აღსაზრდელად და დაივიწყო მის შესახებ. ოღონდ მერე აღარ გაგვიკვირდეს, თუკი ერთხელ ბავშვს ისე ჩაარტყამენ თავში, რომ ცხვირიდან სისხლი წამოუვა. ასეთი მოქმედება ჩვენი თანამემამულეების მიმართ, რომლებიც დედასამშობლოსთან ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, დაუშვებელია. ჯავახელები ყოველთვის ცხოვრობდნენ, უმკლავდებოდნენ წინააღმდეგობებს და ძნელბედობის ჟამს ყოველთვის მიდიოდნენ დედასომხეთის დასახმარებლად“,** — აცხადებდა სანოსიანი.

**„წავიდეთ წინ“, — აგრძელებს თხრობას სტატიის ავტორი — „ძალიან მინდა, რომ ჯავახკის პრობლემები სომხეთის პარლამენტში იმ დეპუტატებმა წამოსწიონ წინ, რომლებსაც ჯავახკური ფესვები არა აქვთ“,** — განაცხადა ერევანში მოწყობილ პრესკონფერენციაზე მმართველი პარტიის დეპუტატმა, კავშირ „ჯავახკის“ თავმჯდომარემ შირაკ ტოროსიანმა.

მისი თქმით, ჯავახეთი დღეისათვის სომხეთის ერთადერთი ჩრდილოეთი კარიბჭეა, იქიდან კი სომხური მოსახლეობის გადინება მიმდინარეობს — ეს ტრაგიკულია სომხეთისათვის, ვინაიდან **„ჩვენ ჩვენს ჩრდილოეთის კარიბჭეს ვკარგავთ. სომხეთის ხელისუფლებამ მეტი უნდა გააკეთოს ჯავახკისათვის და ჯავახკმა ეს მხარდჭერა უნდა იგრძნოს“,** — აცხადენს ტოროსიანი.

**„აი ასე ღიად და ურცხვად ახდენს სომხეთი თავისი ტერიტორიული პრეტენზიების დემონსტრირებას საქართველოს მიმართ და ამისათვის მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებს დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორად იყენებს — ასეთია საუკუნეებგამოვლილი სომხური მხარის საქციელის მოდელი“,** — წერს სტატიის ავტორი და აღნიშნავს, რომ ამ მოდელმა სომხეთი უკვე მიიყვანა იქამდე, რომ მას მსოფლიოში პრაქტიკულად მეგობარი არ დარჩა, მისი ავტორიტეტი უკიდურესად დაბალია, ხოლო მისი სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო და საშინაო პოლიტიკური პრობლემები მატულობს. სტატიის ავტორის აზრით, სწორედ ისინი უქმნიან საფრთხეს სომხეთის უსაფრთხოებას.

**„და როდესაც სომხების მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მოხდება, მომხდარში მათ მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ“**, — ნათქვამია სტატიის ბოლოს.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

### ◎ 31 მარტს — ყველანი ბათუმში!

# დისკუსია უნდა შეწყდეს!

**(მესამე გვერდიდან)**

**როგორც ბატონმა საააკაშვილმა ბრძანა, 15-20 წელი სჭირდება ქართული მენტალიტეტის საბოლოოდ გამოცვლას, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, მთლიანად გამოაცალოს ღირსება ქართველ ერს. ღირსებაგამოცლილი ადამიანი კი, მოგეხსენებათ, ადვილად ყიდის ყველას და ყველაფერს.**

**ჩემს მიერ მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანი არგუმენტებით წარმოდგენილი აჭარაში შექმნილი უმძიმესი ვითარება კარგად მოწმობს, რომ აქ ოშკი არაფერ შუაშია, ისევე როგორც არაფერ შუაში იყო ხელისუფლების მხრიდან ქართველი მუსლიმანების ბედით წუხილი. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ დამპყრობელ სულთან აზიზის საკულტო ნაგებობა წმინდა პოლიტიკაა და ანტიქართული პროექტი, საქართველოზე გამარჯვების სიმბოლო.**

**მინდა გაგახსენოთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის სიტყვები: „მიმდინარე, მოვლენებში, პროცესებში ვერგარკვევა სიბრიყვეა, სიბრიყვის წამალი კი ჯერ არავის მოუგონია“. მე არ მეგულება საქართველოში ისეთი ბრიყვი ადამიანი, ვინც ვერ გაიგო, რომ საქართველო ხელიდან გვეცლება. კერძოდ, აჭარაში შექმნილი რთული მდგომარეობის კიდევ ერთხელ წარმოდგენის შემდეგ თუ კიდევ ვინმე იტყვის, რომ დამპყრობელ სულთან აზიზის მეჩეთი ქ. ბათუმში არავითარ ხიფათს არ წარმოადგენს, ის ნამდვილად ანტიეროვნული პოლიტიკის მსახურია და მას მოღალატე უნდა ეწოდოს.**

**ბათუმში დამპყრობელ სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობის მომხრე, ის იქნება რიგითი მოქალაქე თუ ხელისუფალი, სასულიერო თუ საერო პირი, როგორც მოღალატე, შეჩვენებული და გარიყული უნდა იქნას ქართველი ხალხისგან.**

**აქვე მინდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს მივაქციო ჩვენი მოსახლეობის ყურადღება. არაერთი პოლიტიკოსისაგან, ვინც ეწინააღმდეგება აზიზის მეჩეთის მშენებლობას, არაერთხელ მოგვისმენია დამაიმედებელი, გულუბრყვილო საუბარი მოსახლეობის მიმართ, რომ მალე ოქტომბერი მოვა, ხელისუფლება შეიცვლება და ყველა პრობლემა გადაწყდება. მინდა მივმართო ყველას, ვინც ასე ფიქრობს. არ შეიძლება ვიყოთ მშვიდად. კერძოდ, ოქტომბრამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, თუ ჩვენ ამჟამად ხელისუფლებას მივცემთ აზიზის პროექტის განხორციელების დაწყების საშუალებას, თუ მეჩეთის მშენებლობის ადგილი იკურთხება და მშენებლობა დაიწყება, რამდენიმე თვეში ნაგებობა სამლოცველოს ფორმას მიიღებს. ასეთ შემთხვევაში მისი ოქტომბრის მერე გაუქმება შეუძლებელი გახდება. პირველ რიგში მის დანგრევას, როგორც სალოცავისას არავინ გაბედავს, თუ კი ამაზე პასუხისმგებლობას აიღებს მომავალი ეროვნული ხელისუფლება, ეს ჩვენს ქვეყანაზე საერთაშორისო მასშტაბით უარყოფითად აისახება. ისლამური სამყარო, ევროპა და სხვა ქვეყნები მეჩეთების დამანგრევლად და ფაშისტებად გამოგვაცხადებენ, რაც ტოლერანტი ქართველი ერის იმიჯის შელახვასთან ერთად სინამდვილეში გაართულებს ურთიერთობებს მეზობელ თურქეთთან, ასევე საფრთხეს შეუქმნის იქ არსებულ ქართულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს.**

**ერთადერთი მთავარი გამოსავალი აღნიშნული პროექტის განხორციელების მცდელობის თავიდანვე არდაშვებაა.**

**ამ ფრიად მნიშვნელოვან, ერისთვის სასიცოცხლო დანიშნულების საქმეში აჭარის მოსახლეობის პოზიცია, განურჩევლად აღმსარებლობისა, როგორც ყოველთვის არის ერთსულოვანი, მაგრამ როგორც ხედავთ, დაუღალავი, მშვიდობიანი ბრძოლის მიუხედავად უძლურნი ვართ ანტიქართული ცენტრალური სახელმწიფო მანქანის წინაშე. აჭარის მოსახლეობა, გადამწყვეტი სიტყვისათვის თანადგომას მოელის დედაქალაქიდან და დანარჩენი საქართველოს კუთხეების მკვიდრთაგან.**

**თუ ჩვენთვის ძვირფასია საქართველოს მომავალი, თუ ღირსეული ადამიანობა და ნამდვილი ერობა გვსურს, უნდა შევიკრიბოთ ერთად და დავიცვათ ყოველი ჩვენგანის სახლის კარიბჭე — აჭარა.**

**თავის დროზე მტერთა სიმრავლისა და საქართველოს კუთხეებს შორის შუღლითა და გაუტანლობით აჭარა-მესხეთი საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყო დედასაქართველოს. ჩვენი გულგრილობით, მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთთან მშვიდობიანად თანადგომაზე უარის თქმით კვლავ ნუ დავუშვებთ მსგავს გამოუსწორებელ შეცდომას. ვაჩვენოთ ყველას, მტერსა თუ მოყვარეს, რომ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობა, ვართ საქართველოს პატრონი, ნუ მივცემთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენი ერის ღირსებას საქართველოს ნებისმიერ კუთხეში უცხოტომელებს საჯიჯგნად.**

**საქართველოს პატრიარქმა არაერთხელ ბრძანა: „საქართველო აჭარიდან მოიქცაო“. თუ ჩვენ შევძლებთ ამ ანტიქართული პროექტის შეჩერებას, სწორედ რომ, ეს იქნება საქართველოს აღმავლობის დასაწყისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნუგეში იმისა, რომ საქართველო გაბრწყინდება, უსაფუძვლოდ მიმაჩნია.**

**31 მარტს, დღის 2 საათზე, ქ. ბათუმში, თავისუფლების მოედანზე ველოდებით ყველას, რათა ერთად დავიცვათ ჩვენი ეროვნული ღირსება და მომავალი.**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

დიდი იმედით



აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის დარბაზის სახელით კავშირის თავმჯდომარე, მწერალი, ფილოსოფოსი

**ნიაზ ბოლქვაძე**

## როცა ყველაფერი შესაბამისად ანალიზდება

*ირაკლი ალასანიას განცხადებამ ხელისუფლების მიერ სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნასთან დაკავშირებით, დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მართალია, ნაციონალები ისე იქცევიან, თითქოს, ალასანიას განცხადებას სერიოზულადაც კი არ აღიქვამენ, მაგრამ პრაქტიკულად შეიარაღებული დაჯგუფებების არსებობას არ უარყოფენ. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ეს არის ნებაყოფლობითი რეზერვი და არაფერი უკანონო ამაში არ არის. ყველაზე ყურადსაღები მაინც ის არის, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ეს განცხადება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი უცხოელი პარტნიორებისთვის.*

*მოგეხსენებათ, ირაკლი ალასანიას დახურულ ფორმატში შეხვედრა ჰქონდა ამერიკის ელჩ ჯონ ბასთან, სადაც, რა თქმა უნდა, სწორედ ამ თემაზე იქნებოდა საუბარი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი, NATO/PFP-ის მეკავშირე ოფიცერი სამხრეთ კავკასიაში უილიამ ლაჰიუ საქართველოში უკანონო ბანდფორმირებების შესახებ გავრცელებული ინფორმაციით დაინტერესდა.*

*Presage.tv-სთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას შეხვდა პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია. Presage.tv სწორედ ბაღათურიას დაუკავშირდა ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად. ჩვენთან საუბარში ბაღათურიამ განაცხადა, რომ შეხვედრა დახურული ფორმატის იყო და ამიტომ მას მხოლოდ იმ საკითხებზე შეუძლია საუბარი, რაც შეთანხმებული იყო მეორე მხარესთან. საუბარია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაღათურიამ არ უარყო ნატოს წარმომადგენლის მხრიდან გარკვეული დაინტერესება.*

*თავისთავად ის ფაქტი, რომ ოპოზიციის წარმომადგენლის განცხადებამ ამხელა ინტერესი გამოიწვია, შეიძლება სერიოზული მნიშვნელობის საკითხად განვიხილოთ, რადგან ჩვენ არაერთი ფაქტი გვახსოვს, როდესაც ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები ცდილობდნენ დასავლეთისთვის ხმა მიეწვდინათ საქართველოს ხელისუფლების ამა თუ იმ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც წესი, რეაგირება ამაზე არ ხდებოდა. დღეს სიტუაცია აშკარად შეცვლილია. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით Presage.tv-ს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ესაუბრება.*

# საქართველოში შეიარაღებული ფორმირებებით უკვე ნატოც დაინტერესდა



სოსო ცისკარიშვილი: **„ეს ინტერესი რეალურია, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ამერიკელებმაც გააცნობიერეს, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ის დამაჯერებლობა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება საუბრობდა საკუთარ წარმატებებზე და შეუცვლელობაზე, აღარ არის სრულყოფილი. ბევრი ფაქტია უკვე ცნობილი ამერიკის პოლიტიკური წრეებისთვის. სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბატონ ტეფტის ნაცვლად საქართველოს ამერიკის ელჩად მოევლინა ბატონი ბასი. ჩემი აზრით, ეს იყო ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში გარდამტეხი მოვლენა. როცა უკვე გადამოწმებით ცდილობ, დააზუსტო რეალობა და მონიტორინგი ხდება სრულყოფილი, რასაკვირველია, ვლინდება ის რეალობა, რომელშიც ცხოვრობს საქართველო. სამწუხაროდ, არ დასტურდება, რომ ეს მხოლოდ წარმატებული ისტორიების ქვეყანაა. თუკი ვინმეს სწყინს ასეთი ვითარება, ეს რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობა გახლავთ, მაგრამ ნათქვამია — „კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო.“**

ინფორმაცია, რომელზეც საუბრობდა ბატონი ალასანია, რომელიც მან გააჟღერა ამერიკის ელჩთან შეხვედრისასაც, არ იყო უცხო დასავლური წრეებისათვის. სამწუხაროდ, ნატოს ხელმძღვანელობისთვის ეს ინფორმაცია უფრო ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე ამერიკის ელჩისთვის. ამავე დროს ძალიან თვალსაჩინოა სამეგრელოს მოსახლეთა აქტივობა, რადგან ისინი ამ ვითარების საფრთხეს აცნობიერებენ. არაერთი მათგანი არ შეუშინდა შესაძლო გართულებებს და ჩამოვიდა თბილისში იმ ინფორმაციის ჩამოსატანად, რომელიც მათ არასასიკეთოდ მიაჩნიათ ქვეყნისათვის.

ახლა უკვე სენატში დაიწყო ამ სიტუაციის განხილვები. რა თქმა უნდა, ეს ძალიან გულდასაწყვეტია, როდესაც შენი ქვეყნის ამბები ირჩევა ძალიან შორს შენგან, თავად უკვე პასიური ხარ საკუთარი ქმედებების შეფასებაში, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. როდესაც შეამჩნია საკუთარი სავარძლების სიმყარის საფრთხე, ხელისუფლება უკვე მზად არის, 180 გრადუსით მოტრიალდეს პოლიტიკური ვექტორისგან, რომელსაც ეთაყვანებოდა წლების განმავლობაში. ვშიშობ, რომ თუ აქამდე ამერიკის მიმართ რაიმე კრიტიკული აზრის გამოთქმის მქონე უმალ მოინათლებოდა ხოლმე პუტინის აგენტად, ახლა ამერიკის პოზიციის მხარდამჭერი უკვე ამერიკის ჯაშუშად შეიძლება გამოცხადდეს.

**— პალიკო კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკის სენატში საქართველოს საკითხის განხილვა უკავშირდება იმას, რომ სენატში ჩვენი ქვეყნის შესახებ არასწორი ინფორმაცია აქვთ და ეს დააბრალა ქართულ ოპოზიციას. მოგეხსენებათ, ქართული ოპოზიცია დასავლეთს ადრეც აწვდიდა გარკვეულ ინფორმაციებს, მაგრამ არც ერთ მათგანს ასეთი რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ ფიქრობთ, დღეს დასავლეთისთვის ვის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უფრო სანდოა, ხელისუფლების თუ ოპოზიციის?**

— ვრწმუნდებით, რომ სიცრუე საკმაოდ ინერციული ცნებაა, რომ თუ სისტემატურად ცრუობ, ერთ დღეში ამას ვერ შეცვლი. ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი თავის ირგვლივ მიმოიხედო რა ხდება, ახლა უკვე სენატსაც შეურაცხყოფას ვაყენებთ. იმდენად გამოსულელდნენ ამერიკელი სენატორები ბოლო კვირების განმავლობაში, რომ თურმე ტყუილს არჩევენ სერიოზული სტატუსით თავის სხდომებზე.

**უკაცრავად ბატონო ნაციონალებო, აქამდე თქვენი შეფასებებით რომ ხელმძღვანელობდა ამერიკის პოლიტიკური ელიტა, მაშინ არ იყვნენ სულელები? თქვენს შეთხზულ მითებს რომ რეალობად აღიქვამდნენ, მაშინ რომ არანაირი უხერხულობა არ გიგრძვნიათ? რატომ თვლით, რომ ახლა უჯერებენ სიცრუეს, რომელსაც თქვენ ვერ შეაჩერებთ? სჯობს, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და დასრულდეს პარტიული ინსტრუქციების მთელი საზოგადოებისთვის თავზე მოხვევის დრო. ხალხი ბრძენია, ხალხი მომთმენია, მაგრამ ხალხი გონებაჩლუნგი არ არის, რომ აიტანოს ყველა შეურაცხყოფა.**

რუსიკო უშიკიშვილი

## ინფორმაცია

### ნინო კალანდაძე – ჯვრის მონასტრის საკითხზე სამუშაო ჯგუფები ოფიციალურად ჩამოყალიბებული არ არის

**ამის** შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ დღევანდელ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, სამუშაო ჯგუფები ოფიციალურად არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა მიმდინარეობს უწყებათაშორისი ჯგუფის მუშაობა ჯვრის მონასტრის საკითხზე ჩარჩო-სქემის შემუშავებასთან დაკავშირებით.

„ჩვენი მხრიდან ვაგრძელებთ სამუშაო ჯგუფების ფარგლებში ჩარჩო-სქემის შემუშავებას. სამუშაო ჯგუფები ოფიციალურად ჩამოყალიბებული არ არის, დარგობრივი წარმომადგენლობაა უბრალოდ და ის ბრძანებით არ არის განსაზღვრული ამ ეტაპზე“, — განმარტა ნინო კალანდაძე.

მისივე თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხი ისრაელში ვიზიტის ფარგლებში ოფიციალურად დააყენა.

### საგარეო უწყება ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს შენობის გასხვისებაზე ინფორმაციას არ ფლობს

**როგორც** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, ვაშინგტონში საქართველოს წარმომადგენლობის შენობა ქართული მხარის საკუთრებაში არ არის. მისივე თქმით, ქართული მხარე მუშაობს, რომ შენობა, სადაც საელჩოა განთავსებული, საკუთრებაში გადაეცეს.

„იმედი გვაქვს, რომ შესაბამისი სახსრები მოინახება და უახლოეს მომავალში ჩვენ საელჩოს ოფიციალური წარმომადგენლობა საკუთრებაში ექნება“, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს შენობაზე გაკეთებულია განცხადება „იყიდება“.

ინტერპრესი

## ვითარება

# რისთვის გამოიყენებს ხელისუფლება სამეგრელოში შექმნილ შეიარაღებულ დაჯგუფებებს?

**ტელეკომპანია „მაესტროსა“ და Presage.tv-ს ჟურნალისტის ნანა ფაჟავას განცხადებით, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რას უპირებს სამეგრელოში შექმნილ სპეციალურ ბანდფორმირებებს. „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ნანა ფაჟავას მიერ რამდენიმე დღის წინათ გადაღებული, ზუგდიდში საცხოვრებელ სახლებში სამხედროების შტაბების ამსახველი ვიდეოკადრები გავიდა.**

**„მაქვს ახალი ინფორმაციები, თუმცა ამ ეტაპზე რაიმეს თქმისგან თავს შევიკავებ. არა მუქარისა და ზეწოლის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ ინფორმაციის გახმაურება ქვეყნის ინტერესების შემლახველი და სკანდალური იქნება. ამ ადამიანების 90 პროცენტს კრიმინალური წარსული აქვთ. მათ შევარდნაძის ხელისუფლებაც იყენებდა. ერთ დროს ეს ხალხი აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისთვისაც იბრძოდა და ისინი რეჟიმის კლანჭებიდან ყველამ ერთად უნდა დავიხსნათ“,** — განაცხადა ფაჟავამ პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვისას.

ტელეკომპანია „მაესტროსა“ და Presage.tv-ს ჟურნალისტი იმედოვნებს, რომ სამეგრელოში შექმნილი დაჯგუფებების წარმომადგენლები არანაირ დაპირისპირებაში არ ჩაერთვებიან.

„ობიექტივის“ წამყვანისა და ჟურნალ „ღია ბოქლომის“ მთავარი რედაქტორის ილია ჩაჩიბაიას განცხადებით, ხელისუფლებამ სამეგრელოში ჩამოყალიბებულ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში მეთერთმეტეკლასელი მოსწავლეებიც კი ჩართო.

„ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ჩაჩიბაიამ აღნიშნა, რომ მოსწავლეები სკოლებიდან ყვითელი ავტობუსებით გამოჰყავდათ, იარაღს ურიგებდნენ და სამხედრო წვრთნებს უტარებდნენ.

**„სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნის თაობაზე ინფორმაცია ჯერ კიდევ სამი თვის წინათ გავავრცელე. ამ თემაზე ბევრს ვწერდი, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. განგაში მხოლოდ მას შემდეგ ატეხეს, როცა ამის შესახებ ირაკლი ალასანიამ განაცხადა. სამწუხაროდ, დღეს განგაშის ატეხვა დაგვიანებულია, რადგან სამხედრო ფორმირებები უკვე შექმნილია. საზოგადოებამ და ოპოზიციამ რეგიონებში მცხოვრები ხალხის მოსმენა უნდა ისწავლოს“,** — აღნიშნა ილია ჩაჩიბაიამ და დასძინა, რომ გასაიდუმლოებული სამხედრო შტაბები სამეგრელოს თითქმის ყველა სოფელშია განთავსებული.

**„ზუგდიდში თითქმის ყველა ქუჩაზე მსგავსი შტაბია გახსნილი. სააკაშვილი ხედავს, რომ პროცესები მის საწინააღმდეგოდ ვითარდება. მისი გეგმა ასეთია: როცა ხალხის პროტესტი პიკს მიაღწევს და მის ჩამოშორებას შეეცდებიან, თავს სამეგრელოს შეაფარებს. პრეზიდენტის სავარძლის დასაბრუნებლად სამოქალაქო ომს წამოიწყებს. უკანონო ბანდფორმირებებს სწორედ ამ მიზნით ქმნის. ის ყველაფერზეა წამსვლელი“,** — განაცხადა ილია ჩაჩიბაიამ.

საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერის კახა მიქაიას განცხადებით, სამეგრელოში სპეციალური ბანდფორმირებების შექმნის შესახებ ალასანიას განცხადება ოპოზიციამ არ უნდა მიაფუჩეჩოს.

მიქაიამ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვისას განაცხადა, რომ სამეგრელოში უკვე დასრულებულია სააკაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი ბანდფორმირებების ჩამოყალიბება, რომელთა შტაბები საცხოვრებელ სახლებშია განთავსებული.

**„ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს არის ნებაყოფლობითი რეზერვი, მაგრამ ამ რეზერვის უკან სააკაშვილის ბანდფორმირებები იმალებიან, რომლებიც ყველანაირი პროვოკაციისთვის არიან მზად. სააკაშვილი უკან არ დაიხევს და სამეგრელოში შექმნილ ბანდფორმირებებს კი არ დაშლის, გააძლიერებს და დაფინანსებასაც გაუზრდის. მივმართავ ამ ბიჭებს: თქვენ იბრძოდით აფხაზეთში, თუმცა ამ ხელისუფლებამ კრიმინალებად გაქციათ. თქვენ ხართ ქართველები და სააკაშვილს არ უნდა დაემორჩილოთ. არ გამოხვიდეთ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და მოგიწოდებთ, ამხილოთ მიხეილ სააკაშვილი“,** — განაცხადა კახა მიქაიამ.

ნატა ნიგლაძე

◉ დეპუტატი ტყუის თუ ეროვნული ბანკი იქცეოდა უკანონოდ?

# ახალი პროვოკაცია ივანიშვილის წინააღმდეგ

**ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეროვნულ ბანკს უნდა მიენიჭოს უფლება, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კომერციული ბანკის უპირატესი წილის მფლობელი და ადმინისტრატორი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთლიანად ეროვნული ბანკის ხელმძღვანელზე იქნება დამოკიდებული, ამ კრიტერიუმებს ვის მოარგებს და ვის — არა.**

თუკი ხელისუფლების იმ ქმედებებს გავითვალისწინებთ, რასაც მას შემდეგ ახორციელებს, რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის სურვილი გამოთქვა, დაწყებული ბანკ „ქართუს“ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებით და დამთავრებული მოგელაძის საქმიანობით, ადვილი მისახვედრია, რომ გადაწყვეტილება ბანკ „ქართუსთვის“ იქნა მიღებული და სწორედ ასეთ შეფასებებს აკეთებენ ექსპერტებიც.

საქმე ეხება პარლამენტის წევრების ანდრო ალავიძისა და მიხეილ ცქიტიშვილის სახელით ინიცირებულ კანონპროექტს, რომლითაც ცვლილება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში შედის.

**კანონის მოქმედი რედაქციით, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები კონკრეტულად არის გაწერილი. კერძოდ, პირს ეკრძალება, იყოს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის.**

ასევე, პირი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, თუ იგი სასამართლომ არ ცნო ქმედუუნაროდ და იგი არ არის ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

ასევე, თუ აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება და ამავე დროს არ არის სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში,




რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი.

**კანონპროექტით კი, ეროვნულ ბანკს უფლებამოსილება ენიჭება ნორმატიული აქტით განსაზღვროს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის დამატებითი კრიტერიუმები.**

ექსპერტი **ლადო პაპავა** ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას გაუმართლებელს უწოდებს და შიშობს, რომ, ზოგადად, კომერციული ბანკებისთვის ცუდი შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

**„არის გარკვეული პროცედურები, რომლებიც არ შეიძლება, რომ კანონში იყოს გაწერილი და მისი გაწერის უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული სათანადო ორგანოს. მაგრამ არის ისეთი პროცედურებიც, რომლებიც არ შეიძლება, სცდებოდეს კანონის ფარგლებს. ყოველ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებთან დაკავშირებული ყველა საკითხი იმდენად ფაქიზია, რომ კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. მით უმეტეს ისეთი საკითხები, როგორიც არის წილის მფლობელების შესაბამისობის კრიტერიუმის დადგენა, ეს ისეთი რამ არის, რომელიც კანონში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი და ამ უფლების ეროვნული ბანკისთვის მინიჭებამ, შესაძლოა, ქართულ საბანკო სისტემას ძალიან ცუდი შედეგები მოუტანოს“,** — ამბობს ლადო პაპავა.

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებაში ერთმნიშვნელოვნად იკითხება, რომ ეს ბანკ „ქართუსთვის“ ხდება.

**„ეს ყველაფერი ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბანკის, „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ იმიტომ, რომ ეს ბანკი არის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ბანკი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელიც არის ივანიშვილი და საბოლოოდ, შესაძლოა, ისეთი რამ ჩაწერონ, რომ იგი იძულებული გახადონ, ან ეს წილი გაყიდოს, ან ბანკი დაუხურონ, ან ბანკის პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის საწინააღმდეგოდ, შესაძლოა, ისეთი რამ ჩაწერონ, რომ მას არ ჰქონდეს საშუალება, ამ ბანკს უხელმძღვანელოს“,** —ამბობს ლადო პაპავა და დასძენს, რომ ამიტომაც არის აუცილებელი, რომ კრიტერიუმები კანონით იყოს განსაზღვრული და ერთ კონკრეტულ ადამიანს არ შეეძლოს, საკუთარი სურვილით ჩაწეროს ისეთი რამ, რომელიც კონკრეტული ბანკის თუ მისი მფლობელის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

**„ბოლო ხანებში, ოქტომბრიდან მოყოლებული, რასაც მთავრობა და ეროვნული ბანკი აკეთებენ, ეს ყველაფერი მიმართულია „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ და ეს ჩანაწერიც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ჩანაწერი იმისა, რომ ეროვნულ ბანკს მისცენ კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომ სადამსჯელო ღონისძიება გაატაროს „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ“,** —ამბობს პაპავა.

კანონპროექტის ავტორები კი ამ ცვლილებას „ტექნიკურს“ უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ ამაში საგანგაშო არაფერია. ამისთვის კი არგუმენტად იმასაც იშველიებენ, რომ, თურმე, ამ კრიტერიუმებს ეროვნული ბანკი აქამდეც ადგენდა.

როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა მიხეილ ცქიტიშვილმა განაცხადა, ასეთ კრიტერიუმებს ეროვნული ბანკი 2002 წლიდან ადგენს და ის ყველა კომერციული ბანკისთვის გამჭვირვალეა.

**„ახლა კანონში, უბრალოდ, ტექნიკური დაზუსტება ხდება“,** — განაცხადა ცქიტიშვილმა, თუმცა, არ განუმარტავს, თუ რატომ ადგენდა ეროვნული ბანკი დამატებით კრიტერიუმებს მაშინ, როცა ამის უფლება კანონით არ ჰქონდა.

**ფაქტია, რომ ეროვნულ ბანკს ამის უფლება აქამდე არ ჰქონდა და, თუკი აკეთებდა, კიდევ სხვა დანაშაულია, რომელიც უფლებამოსილების გადამეტებით შეიძლება დაკვალიფიცირდეს. ამას კი ისიც ადასტურებს, რომ ახლა წერენ კანონში იმას, რაც ეროვნულ ბანკს აქამდე უკეთებია, ანუ აქამდე ამის უფლება არ ჰქონია და აუცილებელია, ხელისუფლებამ სათანადო განმარტებები გააკეთოს.**

თეონა ხარაბაძე,

Presage.tv

◉ წკეპლიკა

## მიეც დიდკაცთა საჭურჭლე...

**კარუსელი აჭრიჭინდა — ჭრიჭი-ჭრიჭი-ჭრიჭი და მინისტრად გაიჯგიმა დიპლომატი ბიჭი...**

**დიახ, შვეიცარიაში საქართველოს ელჩად (რასაკვირველია, საგანგებოდ და სრულუფლებიანად) მივლინებული ზურაბ ჭიაბერაშვილი ჯანდაცვის მინისტრად მოგვივლინეს. რა მოხდა, კანადიდან თუ შეიძლებოდა ეკონომიკის მინისტრის ჩამობრძანება, შვეიცარია უფრო ახლოს არ არის?**

არადა, ცოტა კი მოხდა: ჯერ ერთი, პრემიერმა ნიკა გილაურმა კარგი მუშაობისთვის მადლობა რომ გადაუხადა წინა მინისტრს, სტეთოსკოპდალოცვილ ანდრია ურუშაძეს — თუ კარგად მუშაობდა, მერის მოადგილედ უნდა „ჩაელაბორანტებინათ?“ მეორეც — რა თანახებაშია ზურაბ-ბატონი ჯანდაცვასთან, იმის წარსულში არის რაიმე „მედიკოსური“, თეთრი ხალათი სცმია? თუმცა ხელისუფალთა ქმედებებში ლოგიკა ხომ ხშირადაა სანთლით საძებარი!

ასეა თუ ისე, როგორც რუსები ამბობენ, — дело сделано და იმედია, ახალი ჯანდაცვის შეფს ერთმანეთში არ აერევა ბრუცელოზი და ტუბერკულოზი, „მამალი ძროხისა და დედალი ხარისაგან“ განსხვავებით...

მოკლედ, დაინიშნა ახალი მინისტრი და ამიფუთფუთდა მუზა: **უნდა ვიცოდეთ, ეგ რა კაცია, წარმოადგინოს დეკლარაცია;** ანდა, მეორე ვარიანტი — **ეგ რა გახურავს, ეგ რა გაცვია, აჰა, შეავსე დეკლარაცია...** შეუვსია კიდევაც, ოღონდ გონებრივი კი არა, როგორც ერთ მომენტში ჩვენმა გაზეთმა მოითხოვა, არამედ ქონებრივი.

და ჰქონია კიდევაც საქონელი ურიცხვი „ნამერალ-ნაელჩარი“ ზურაბის ოჯახს: 394 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი რამდენიმე სახლისა თუ ბინის სახით; 14595 კვადრატული მეტრი(!ძ მიწის ნაკვეთი თბილისში, საგარეჯოსა და შინდისში; 19200 ევრო თუ ლარი სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე; ოჯახის ერთ წევრს წლის სიგრძეზე, შემოსავლის სახით 40 820 ლარი მიუღია ერთ-ერთი კომპანიის პარტნიორის როლში.

უცხოეთში ზურაბ-ბატონის წლიური ხელფასი 72 000 ევრო ყოფილა (ესე იგი თვეში 6 000 ევრო „ანაღება“ — ლარში არ აგვერიოს(!ძ; ნეტავ თბილისში რამდენი დაენიშნა?..

ღმერთმა მშვიდობით მოახმაროს მთელი ეს საჭურჭლე, მაგრამ საბჭოური ხანის ერთი ანგლობა მაგონდება, — გურულის ენა-პირით ნათქვამი — **შენთვის გუუსვრია „ავრორას“ 1917 წლის ოქტომბერში;** ჰოდა, თუ ამ შაყირს უახლეს წელთაღრიცხვაზე გადმოვაენებთ, ჩვენს „ერთ მუჭა კაპიტალისტებს“, ჩვენს გაბობოლებულ-გათქვირებულ ნაციონალ „გოგო-ბიჭებს“ შეიძლება ეთქვათ: თქვენთვის დაულევია „ნაედუარდალი“ ჩაი 2003 წლის ნოემბერში პარლამენტში შევარდნილ სააკაშვილსო...

ბერდია ბედოიძე

◉ ინფორმაცია

### ნესტან კირთაძე ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ბორის იაროშევიჩს შეხვდა



სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ თავმჯდომარე ნესტან კირთაძე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს ბორის იაროშევიჩს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კირთაძის მოძრაობიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა „ქართულ-აფხაზური და ოსური სახლის“ ახალი პროექტი განიხილეს, რომელიც აფხაზურ და ოსურ ენებზე ყოველკვირეული გაზეთის „თბილისი-სოხუმი, თბილისი-ცხინვალის“ გამოცემას ითვალისწინებს.

### ლეიბორისტები პრეზიდენტს სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვაში ადანაშაულებენ

ლეიბორისტები პრეზიდენტს გართობისა და დროსტარების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვაში ადანაშაულებენ. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამხრეთ კორეაში ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე გამგზავრებამდე, მიხეილ სააკაშვილმა „ვიქენდი“ ტაილანდის ცნობილ ეგზოტიკურ კურორტზე ფხუკეთზე მოიწყო, სადაც ისვენებენ და დროს



ატარებენ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები.

როგორც შატბერაშვილი აცხადებს, სააკაშვილი ამ კურორტზე შოკოლადის აბაზანების მისაღებად ტაილანდელი მასაჟისტების თანხლებით ჩაბრძანდა, რაც საქართველოს ბიუჯეტს ნახევარი მილიონი დოლარი დაუჯდა. მისი თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მედიაში გავრცელდა.

ამასთან, სოსო შატბერაშვილმა გუშინ, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოუწოდა, „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ 29 მარტს პარლამენტთან დაგეგმილ აქციაზე მისვლისკენ და განაცხადა, რომ ვისაც სურს ალვირახსნილი დროსტარების მოყვარულ, არჩევნების გამყალბებელ პრეზიდენტს წითელი ბარათი აჩვენოს, 29 მარტს „ლეიბორისტული პარტიის“ აქციას უნდა შეუერთდეს.

### მოზარდ მაყურებელთა თეატრში 40 თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას ადასტურებენ

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში 40 თანამშრომლის სამსახურიდან გაშვების ფაქტს ადასტურებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან აცნობეს, თეატრიდან წასული 40 თანამშრომლიდან 27 მსახიობია. მომხდარის მიზეზად რეორგანიზაციის პროცესს ასახელებენ, რომელიც თეატრში გასული წლის ზაფხულში დაიწყო.

ამასთან, თეატრში განმარტავენ, რომ რეორგანიზაცია ამით უკვე დასრულებულია.

ინტერპრესი

## დამაფიქრებელი სტატისტიკა

# ქართული ბაზარი თურქული ეკონომიკის ჩრდილში




**თურქეთი ჩვენი ქვეყნის დიდი სამხრეთელი მეზობელია. — იგი საქართველოს აღემატება: ტერიტორიით — 11.4-ჯერ, მოსახლეობით — 16.5-ჯერ, ეკონომიკური პოტენციალით კი (ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით) — 44.3-ჯერ. სულ უფრო იზრდება მსოფლიოში ამ სახელმწიფოს წონა და გავლენა. — ამჟამად თურქეთზე მოდის მსოფლიო ეკონომიკის 1.33 პროცენტი და მისი მოცულობა თითქმის 8-ჯერ აღემატება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ერთობლივ მთლიან შიდა პროდუქტს. ეს ქვეყანა სულ უფრო მეტად ასრულებს ერთგვარი ენერგეტიკული ჰაბის როლსაც დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სულ ახლახან თურქეთის პრემიერ-მინისტრი მსოფლიოს იმ ხუთ სახელმწიფო ლიდერთა შორის მოიხსენია, ვისთანაც სისტემატურად მართავს კონსულტაციებს.**

ბუნებრივია, თავისი მასშტაბებისა და მსოფლიოში პოლიტიკური წონის გამო დიდია ამ სახელმწიფოს გავლენა თავის მეზობლებზე, მათ შორის საქართველოზე. **ცნობილი გარემოებების გამო საქართველო, რომელიც ეკონომიკური განვითარების დონით 1950-იან წლებში იტალიის, 60-იან წლებში — საბერძნეთის, ხოლო 70-იან წლებში — თურქეთის დონეზე იმყოფებოდა, ამჟამად თავის სამხრეთელ მეზობელს 2.5-ჯერ და მეტად ჩამორჩება.** წარსულს ჩაბარდა ის უშუქობაც და სიბრალულიც, რის გამოც 1960-იან წლებში, თუ ნოდარ დუმბაძის ქვემოთ აღნიშნულ ნაწარმოებს დავესესხებით, საზღვრის აქეთ მყოფთ „იქეთურების" მიმართ უჩნდებოდათ.

დღეს ბევრი რამე უკვე პირიქითაა. — თურქეთი, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შედგენილი რეიტინგით, ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოში 67-ე ადგილზეა, საქართველო კი — მხოლოდ 111-ზე.

2006 წლიდან, რუსეთის მიერ ქართულ მინერალურ და ალკოჰოლურ სასმელებზე ემბარგოს გამოცხადების შემდეგ, თურქეთი ჩვენი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. — ამჟამად მასზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მეექვსედი, მათ შორის ექსპორტის 10.4% და იმპორტის 18.0%. **საკმარისია ითქვას, რომ ამჟამინდელი იმპორტი თურქეთიდან მნიშვნელოვნად აღემატება 2003 წლის საქართველოს მთლიან იმპორტს,** რაც ამ ქვეყანასთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრირების მაღალ დონეზე მიუთითებს. ამასთან, ამგვარი დინამიკური ზრდა გარკვეულწილად ცალმხრივ ხასიათს ატარებს, რადგან თურქული იმპორტის ზრდა აღნიშნულ პერიოდში 4-ჯერ უსწრებდა საქართველოდან თურქეთში ექსპორტის ზრდას. შედეგად, **იმავე 2003 წელთან შედარებით თურქეთის წილი საქართველოს ექსპორტში თითქმის განახევრდა, იმპორტის წილი კი ფაქტობრივად გაორმაგდა.** ამასთან, თუ 2003 წლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი თურქეთთან საქართველოსათვის საკმაოდ დამაიმედებელი იყო — ქვეყნის მთლიან სავაჭრო ბალანსზე თითქმის ორჯერ უკეთესი (მთლიანად, ექსპორტით იმპორტის გადაფარვა შეადგენდა 40.5%-ს, მაშინ როდესაც თურქეთთან — თითქმის 3/4-სძ. ამჟამად აღნიშნული მაჩვენებელი თურქეთთან მხოლოდ 17.9%-ია — თითქმის ორჯერ უარესი, ვიდრე მთლიანად დანარჩენ მსოფლიოსთან და 4-ჯერ უარესი, ვიდრე 2003 წელს.

2000 წლიდან დღემდე თურქეთმა საქართველოში 1.4 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. — საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 16 პროცენტი. ამასთან, ჯერჯერობით სავაჭრო ექსპანსია წინ უსწრებს კაპიტალის ექსპანსიას, რის გამოც თურქული საქონლის იმპორტის მოცულობა დაახლოებით 10-ჯერ და მეტად აღემატება თურქეთიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობას.

**თუ აღნიშნულ გარემოებას ფისკალური კუთხით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ქართული საზოგადოება, საქართველოს მოსახლეობა, როგორც თურქული საქონლის მომხმარებელი, სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს თურქეთის სახელმწიფოს ფისკალურ გაძლიერებაში.** — მარტო 2011 წელს საქართველოში განხორციელებული ექსპორტის წყალობით თურქეთის ეკონომიკაში დასაქმდა 60 ათასზე მეტი ადამიანი. ამაში არ შედიან მომსახურების, კერძოდ ტურიზმის სფეროში დასაქმებული პირები, რომლებიც ემსახურებიან მრავალი ათასი ჩვენი თანამემამულის თურქეთის კურორტებზე ყოფნას, დასვენება-რეკრეაციას. იმის გათვალისწინებით კი, რომ საქართველოში იმპორტირებული თურქული საქონელი ძირითადად სამომხმარებლო, აგრეთვე სამშენებლო-სარემონტო დანიშნულებისაა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი მოსახლეობის მიერ გადახდილი ყოველი მესამე-მეოთხე ლარი თურქეთის ეკონომიკაში „იდება" და მის აღმავლობას ემსახურება.

> „— სინათლე არა აქვთ?
> — არა!
> — ცუდად ცხოვრობენ! — დაასკვნა ლეიტენანტმა".
> „აქეთური" მესაზღვრეების დიალოგი საბჭოთა კავშირ—თურქეთის საზღვრის გადაღმა მცხოვრებ მოსახლეობაზე.
>
> **ნოდარ დუმბაძე.**
> **„ნუ გეშინია, დედა!" 1969 წ.**

ისე, ხისტ კორელაციაზე ვერ ვისაუბრებთ, თუმცა **გარკვეული სიმბოლური დატვირთვისაა ისიც, რომ საქართველოში განხორციელებული ექსპორტის წყალობით თურქეთში შექმნილი ხსენებული დამატებითი 60 ათასი სამუშაო ადგილი ფაქტობრივად შეესაბამება ჩვენთან 2003 წლიდან უმუშევართა რიცხოვნობის ზრდის მაჩვენებელს...**

ქართულ-თურქულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო მზარდი სავაჭრო ნაკადები, არამედ სამუშაო ძალის ინტენსიური მიგრაცია საზღვრის ორივე მიმართულებით. ამასთან, თუ თურქული სამუშაო ძალა საქართველოში ინვესტირებულ კაპიტალს უფრო „მცველად" და „მეთვალყურედ" მოყვება, ქართველი შრომითი მიგრანტები თურქეთში უფრო „ბედის ვარსკვლავს" მიყვებიან, საკუთარი რისკის ფასად და პროფესიული უნარ-ჩვევებით ცდილობენ თურქულ შრომის ბაზარზე დამკვიდრებას.

თუ რამდენი ჩვენი თანამემამულეა თურქეთში შრომით მიგრანტად წასული, ამის ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა არაპირდაპირ, ექსპერტული შეფასებებით, მიახლოებითი ციფრის გაანგარიშება მაინც შესაძლებელია. — ეს არ არის, რა თქმა უნდა, 500 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი ქართველი ექსპერტი და პოლიტიკოსი აცხადებს, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ მიღებული შემოსავლებით აქ რამდენიმე ათეულმა ათასმა ოჯახმა თვიდან თვემდე თავი გაიტანოს.

როგორც წესი, შრომითი მიგრანტების შრომის ანაზღაურება მთელ მსოფლიოში არსად აღემატება აბორიგენი ან რეზიდენტი პირების შრომის ანაზღაურებას. პირიქით — ის მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. თურქეთში საქართველოდან ძირითადად მიდიან დამხმარე ან სეზონის მუშებად, მომსახურე პერსონალად, რის გამოც უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ უკანასკნელთა შრომის ანაზღაურება თურქეთში საშუალო ანაზღაურების 40-50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

საშუალო ხელფასი თურქეთში 1200 დოლარია, ანუ ამ ქვეყანაში ქართველ შრომით მიგრანტთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 500-600 დოლარზე მეტი ვერ იქნება.

თურქეთიდან ფულადი გზავნილები საქართველოში შეადგენს დაახლოებით 30 მლნ. აშშ დოლარს წელიწადში. უნდა ვივარაუდოთ, რომ უშუალო სიახლოვისა და სახმელეთო საზღვრის არსებობის გამო ელექტროგზავნილებთან შედარებით ჩვენი თანამემამულეების თურქეთიდან საქართველოში ხელით გადმოტანილი სახსრები, სულ ცოტა, 2-3-ჯერ უფრო მეტი, ანუ მთლიანობაში რეპატრირებული სახსრები დაახლოებით 100-120 მლნ. დოლარი იქნება. როგორც წესი, შრომითი მიგრანტების მიერ მიღებული გამომუშავების 1/3-დან 1/2-მდე ადგილზე ხარჯების დასაფარავად (კვება, ბინა, ტანსაცმელი, მედიკამენტები, etc.ძ იხარჯება. თურქეთში ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილის უკიდურესად ეკონომიურად და არაკომფორტულ პირობებში ცხოვრების გამო ეს მაჩვენებელი, რომელიც სხვა ქვეყნებში (რუსეთი, აშშძ 40-50 პროცენტს აღწევს, თურქეთში 25 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს, ანუ ჩვენი თანამემამულეების თურქეთში წლის განმავლობაში გამომუშავებული მთლიანი თანხა დაახლოებით 120-150 მლნ. აშშ დოლარია. ამის გათვალისწინებით, ჩვენი შრომითი მიგრანტების საშუალო წლიური რიცხოვნობა თურქეთში არ უნდა აღემატებოდეს 25 ათას კაცს.

**თურქული მხარის მიერ უცხოელთათვის ამ ქვეყანაში 3-თვიანი ყოფნის შემდეგ განმეორებითი შესვლისათვის სამთვიანი შეზღუდვის დაწესების გამო ქართველ შრომით მიგრანტთა რაოდენობა თურქეთში ალბათ, სულ ცოტა, განახევრდება, შემოსავალი კი შემცირდება. მათ მიერ სამშობლოში რეპატრირებული თანხა 2-ჯერ მაინც შემცირდება, ანუ, უკეთეს შემთხვევაში, დარჩება მხოლოდ 50-60 მლნ. დოლარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თურქეთის საიმიგრაციო წესების გამკაცრების გამო საქართველოს შრომითი მიგრანტების საქართველოში დატოვებული ოჯახები მიიღებენ ნაკლებ შემოსავალს, რომელიც დაახლოებით 6-7 ათასი შინამეურნეობის წლიური შემოსავლების ეკვივალენტურია.**

საემიგრაციო წესების გამკაცრების პირობებში არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ შრომითი მიგრანტების ერთი ნაწილი, იქ ყოფნას ლეგალური საფუძვლის მოსაძებნად, შეეცდება თურქეთის მოქალაქეობის მიღებას.

ასეთ პირობებში თურქული სავაჭრო და ეკონომიკური ექსპანსია კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის ჩვენს ეკონომიკას სამხრეთელი მეზობლისაგან, ხოლო შემოსავლებს — თურქული საქონლისაგან. — ამჟამად ჩვენი მოქალაქეების მიერ საქართველოში შეძენილი თურქული საქონლის ღირებულება სულ ცოტა, ხუთჯერ აღემატება თურქეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებისა და ჩვენი შრომითი მიგრანტების მიერ სამშობლოში რეპატრირებული სახსრების ჯამურ მოცულობას.

**აღნიშნული გარემოება, მზარდი დისპროპორცია იმპორტ-ექსპორტის მოცულობაში, თურქეთის უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი და საერთო სახმელეთო საზღვარი სულ უფრო მეტად შეიცავს თურქეთის მიერ ქართული სამომხმარებლო ბაზრის (და არა მარტო) არათუ დაჩრდილვის, არამედ აბსორბციის ნიშნებს. ამ კუთხით ბათუმიდან სტამბოლის (და ეხლა უკვე ანკარას) მიმართულებით საჰაერო რეისების თურქეთის შიდა რეისების სტატუსით განხორციელება აღნიშნული პროცესის მხოლოდ პირველ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს.**

**იოსებ არჩვაძე**

## ინფორმაცია

# რუსი სამართალდამცველების მიერ მოკლული მამუკა კახიშვილის მამას პოლიცია ქურდობაში ადანაშაულებს



**ლერი კახიშვილს 600 რუბლის ღირებულების ლუდის მოპარვაში სდებენ ბრალს. ამ მოტივით სამართალდამცავებმა მის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს. კახიშვილი არ დაუკავებიათ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის პოლიციაში დაიბარონ.**

**ოჯახი უარყოფს ბრალდებებს და ამ ინციდენტს რუსი პოლიციელების მხრიდან დაშინების მცდელობად მიიჩნევს.**

**ლერი კახიშვილის განცხადებით, ასეთი ზეწოლით სამართალდამცავები ცდილობენ მისი შვილის მკვლელობის გამოძიება ბოლომდე არ მივიდეს.**

**მამუკა კახიშვილი სამარაში რამდენიმე თვის წინათ პოლიციელებმა ცემით მოკლეს. მიზეზი მისი ეთნიკური წარმომავლობა იყო. ოჯახის მოთხოვნით ცხედარს ხელახალი ექსპერტიზა ცოტა ხნის წინათ ჩაუტარდა, რომელმაც დაადასტურა რომ 19 წლის ახალგაზრდა ნაწამები და სასტიკად ნაცემი იყო. კახიშვილები დამნაშავე პოლიციელების შესაბამისად დასჯას ითხოვენ.**

ინტერპრესი

№58. სამშაბათი, 27 მარტი, 2012 წელი.

**რას წერენ ჩვენზე**

# სამხრეთი ოსეთი პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურისთვის ემზადება

**საქართველოდან გამოყოფილ რესპუბლიკაში განმეორებით არჩევნებში ლიდერობს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ლეონიდ თიბილოვი, თუმცა არც ერთ კანდიდატს არ დაუგროვებია გამარჯვებისთვის აუცილებელი ხმების ოდენობა.**

„კანდიდატმა თიბილოვმა, წინასწარი მონაცემებით, მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 41, 94 პროცენტი, კანდიდატებმა დმიტრი მედოევმა და დავით სანაკოევმა შესაბამისად 23,8 და 25,36 პროცენტი მოაგროვეს". – მოჰყავს ინტერფაქსს ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის ხელმძღვანელის ბელა პლიევას სიტყვების ციტირება.

მისი სიტყვებით, მეორე ტური გაიმართება ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ.

საპრეზიდენტო რბოლის ფავორიტი ლეონიდ თიბილოვი კმაყოფილია შედეგებით და ეჭვი არ ეპარება, რომ გაიმარჯვებს მეორე ტურში.

**„რასაკვირველია, ჩვენ გვინდოდა მოგვეგო პირველ ტურში, მაგრამ, ძალების განაწილების გათვალისწინებით, ვემზადებოდით ორი ტურისთვისაც. როგორი შედეგებიც არის, ასეთია, ვიმუშავებთ კვლავ. მე, ეჭვი არ მეპარება, რომ გავიმარჯვებ მეორე ტურში", – თქვა თიბილოვმა.**

2011 წლის ნოემბერში გამართული არჩევნების შედეგები, რომელზეც გაიმარჯვა ოპოზიციონერმა ალა ჯიოევამ, გაუქმდა დაშვებული დარღვევების გამო. რესპუბლიკაში სიტუაცია გამწვავდა და ამან გამოიწვია მოქმედი ლიდერის ედუარდ კოკოითის გადადგომა.

შემოდგომის არჩევნების მონაწილეებს – სახელისუფლო კანდიდატს ანატოლი ბიბილოვს და ოპოზიციის ლიდერს ალა ჯიოევას, რომლებიც გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდნენ, – განმეორებით არჩევნებზე თავიანთი კანდიდატურები არ დაუსახელებიათ.

ოთხი კანდიდატი იბრძვის სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელის პოსტისთვის: ესენი არიან რუსეთში სამხრეთი ოსეთის ელჩი დმიტრი მედოევი, სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებათა სრულუფლებიანი წარმომადგენელი დავით სანაკოევი, ადგილობრივი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ლეონიდ თიბილოვი და კომუნისტების ლიდერი სტანისლავ კოჩიევი.

### მღელვარებანი ცხინვალში

ადგილობრივი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ლეონიდ თიბილოვი საპრეზიდენტო რბოლაში წინ გაიჭრა

არჩევნები, რომელიც 27 ნოემბერს გაიმართა, სამხრეთი ოსეთის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის თავდაპირველი მონაცემებით მოიგო ოპოზიცინერმა, განათლების ყოფილმა მინისტრმა ჯიოევამ. მაგრამ ბიბილოვის გუნდმა შეიტანა საჩივარი სამხრეთი ოსეთის უმაღლეს სასამართლოში, რომელიც დაეთანხმა ბრალდებებს დარღვევებში და გააუქმა არჩევნების შედეგები.



ამის შედეგ ალა ჯიოევას მომხრეებმა, რომლებიც არ დაეთანხმნენ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და ჯიოევა აღიარეს პრეზიდენტად, დაიკავეს ცხინვალის ცენტრალური მოედანი. ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება გრძელდებოდა მანამ, სანამ პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი არ დათანხმდა, ვადამდე დაეტოვებინა თავისი პოსტი, ჯიოევასთან მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად.

თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ახალ არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე გადადგა სამხრეთი ოსეთის გენერალური პროკურორი თაიმურაზ ხუგაევი. ხუგაევის გადადგომა იყო იმ შეთანხმების ერთ-ერთი პირობა, რომელსაც მიაღწიეს ედუარდ კოკოითმა და ალა ჯიოევამ, მაგრამ გადადგომა მაინც მოხდა შეთანხმებიდან რამდენიმე თვის შემდეგ.

თებერვლის დასაწყისში ჯიოევას მომხრეები გეგმავდნენ ინაუგურაციის მოწყობას და მის პრეზიდენტად გამოცხადებას, მაგრამ დანიშნულ დრომდე რამდენიმე საათით ადრე პოლიტიკოსი საავადმყოფოში მოხვდა.

62 წლის ჯიოევას მომხრეებმა განაცხადეს, რომ ჯიოევა დაზარალდა სპეცდანის მოქმედების გამო, რომლებმაც იერიშით აიღეს მისი შტაბი. ოფიციალური ვერსიით, პრეზიდენტობის ექსკანდიდატმა ჰიპერტონული კრიზი გადაიტანა.

### უღიარებელი არჩევნები

ცხინვალში ზამთრის ყინულიან დღეებში სიცხეა ჯიოევას მომხრეების ქუჩის დემონსტრაციების გამო.

მსოფლიო გაერთიანება, რომელიც სამხრეთ ოსეთს მიიჩნევს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ნაწილად, უარს აცხადებს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ლეგიტიმურობაზე, რესპუბლიკისა, რომლის დამოუკიდებლობაც აღიარეს მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ეს არჩევნები არ შეიძლება იყოს არც პატიოსანი, არც სამართლიანი „უცხოური ოკუპაციის პირობებში". სამხრეთ ოსეთში განლაგებულია რუსეთის ჯარები, რუსი მესაზღვრეები იცავენ საქართველოსთან დემარკაციის ზონას, რესპუბლიკაში მოქმედი ვალუტა კი რუსული რუბლია.

განმეორებით არჩევნებზე რეგისტრირებულ იყო უცხოეთის 40-ზე მეტი მეთვალყურე, გადმოსცემს „რია ნოვოსტი". ძირითადად ესენი არიან მეთვალყურეები დსთ-ს ქვეყნებიდან.

BBC RUSSIAN.com

# საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის თავისუფალი არჩევნები „ლაკმუსის ქაღალდია"

**შეერთებული შტატებისთვის საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის „ლაკმუსის ქაღალდი" მოახლოებული არჩევნებია, განაცხადა ამერიკის სავარაუდო მომდევნო ელჩმა თბილისში. რიჩარდ ნორლანდი, როგორც ელჩობის კანდიდატი, ოთხშაბათს მისი კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებულ მოსმენაზე სენატში იმყოფებოდა და CIVIL.GE-ს ცნობით, ფრაზა „ლაკმუსის ქაღალდი" ორჯერ გამოიყენა.**

„საქართველოს ინტერესების და მისი ნატოსკენ მისწრაფების, ასევე ამ მისწრაფებისადმი ჩვენი მხარდაჭერის გათვალისწინებით, ის, თუ როგორ გაიმართება ეს არჩევნები, იქნება მნიშვნელოვანი ლაკმუსის ქაღალდი. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით პროცესს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს არჩევნები ნატოს სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა".

„ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით აკვირდებიან იმას, თუ როგორ გაიმართება არჩევნები, რათა დაადგინონ, შეესაბამება თუ არა ის იმ კრიტერიუმებს, რომელთა შესრულებას ნატოს წევრი ქვეყნისგან ელიან", განაცხადა ნორლანდმა...

„ვფიქრობ, საქართველოს ოფიციალური პირები უკვე იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ მათ აკვირდებიან, რომ ხდება მონიტორინგი და რომ ეს ნატოში გაწევრების გზაზე ლაკმუსის ქაღალდია", თქვა ნორლანდმა.

მან საკმაოდ მკაცრად ისაუბრა თბილისში პოლიტიკური თავისუფლებების მხრივ არსებულ სიტუაციაზე:

„არსებობს ცნობები ოპოზიციური კანდიდატების დევნის შესახებ, რაც ჩვენ ძალიან გვაშფოთებს", თქვა ნორლანდმა.

მისი თქმით, საქართველოს სახელმწიფო აუდიტორული სააგენტოს „კონტროლის პალატის როლი პარტიების ფინანსებთან მიმართებაში დიდ შეშფოთებას იწვევს საქართველოშიც და საერთაშორისო თანამეგობრობაშიც".

„ჩვენი დიპლომატიური მისია (თბილისში) საქართველოს ხელისუფლებასთან საჯაროდაც და კერძო საუბრებშიც აღნიშნავს ამ წუხილების შესახებ და (საქართველოში ელჩად) დამტკიცების შემთხვევაში, ჩემი ამოცანა იქნება, რომ ძალიან ყურადღებით დავაკვირდე საქართველოს მიერ იმ პრინციპების დაცვას, რომლებსაც ჩვენ ასე ვაფასებთ. ეს ჩემი მისიის მთავარი პრიორიტეტი იქნება. ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ხარჯავს მილიონობით დოლარს, რათა დაეხმაროს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, კანონის უზენაესობის და დემოკრატიის ხელშეწყობას და ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ პროცესს, რათა დავრწმუნდეთ, რომ იმ შედეგებს ვიღებთ, რისი მიღწევაც გვსურს", განაცხადა ნორლანდმა.




ნორლანდმა ასევე თქვა, რომ საქართველო ერთგვარ ჯილდოს მიიღებს ნატოს მოახლოებულ სამიტზე:

მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ „სერიოზული ძალისხმევა" გაიღო, რათა ჩიკაგოში ნატოს მოახლოებულ არჩევნებზე „ხაზი გაუსვას საქართველოს პროგრესს ამ სფეროში და მუშაობს მოკავშირეებთან, რომ მიაღწიოს კონსენსუსს ინტეგრაციის გზაზე შემდგომი ნაბიჯების გადადგმისთვის".

ის, რაც მან თითქოს არ თქვა, არის ის, რომ სამართლიანი არჩევნები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ნატოში გაწევრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი არჩევნები დაეხმარება აშშ-ს უფრო აქტიურად დაეხმაროს საქართველოს ნატოში გაწევრების საქმეში, ალიანსის ბევრი ევროპელი მოკავშირე მაინც სიფრთხილით მიუდგება საქართველოს შესაძლო წევრობას ორგანიზაციაში. თუმცა, უდავოა, რომ ნორლანდის გზავნილს თბილისში კარგად და მკაფიოდ გაიგებენ. მოქმედმა ელჩმა საჯაროდ გააკრიტიკა მთავრობის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი გასულ კვირაში, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც თავისუფალი არჩევნები და ნატოს წევრობა (მიხეილ სააკაშვილის სანუკვარი მიზანი) ერთმანეთს საჯაროდ დაუკავშირეს. საინტერესოა, შეიცვლება თუ არა ამ გაფრთხილების შედეგად მთავრობის ქცევა.

EURASIANET.org

## დედამიწის ზურგზე




**მედვედევი უკანასკნელად, როგორც პრეზიდენტი, შეხვდა ობამას. იგი უკვე პუტინზე ფიქრობს**

სეულში ბირთვული უშიშროების სამიტის ფარგლებში რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებმა მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო პროგრამის პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ აზრები არ შეუცვლიათ ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე. ობამამ განაცხადა, რომ მზად არის ბირთვული მარაგების სერიოზული შემცირებისთვის – რომ გოგონები უშიშროებაში იზრდებოდნენ. მედვედევი: „უკანასკნელი სამი წელიწადი უკეთესია ათი წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებში".

* * *

**იაპონიაში 54 ბირთვული რეაქტორიდან მხოლოდ ერთი მოქმედებს**




ქვეყანაში უდიდესმა ენერგეტიკულმა კომპანიამ „ტოკიო ელექტრიკ ჰოუერმა" სავალდებულო ტექნიკური შემოწმებისთვის გააჩერა ატომური ენერგოსადგურის ენერგობლოკი „კასივაძაკი – კარივა". შედეგად ატომური ელექტროსადგურის წილი იაპონიის დედაქალაქის ენერგომომარაგების ზონაში, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 35 მილიონი კაცია, სრულიად გაქრა.

* * *

**ჩილეში მოხდა 6,8 მაგნიტუდის მიწისძვრა**



ადრე ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახური იტყობინებოდა მიწისქვეშა ბიძგების შესახებ, რომელთა მაგნიტუდაც 7,2 იყო. ჩილის ხელისუფლებამ გამორიცხა ცუნამის საფრთხე, მოსახლეობის ევაკუაცია ზღვისპირა რაიონებიდან გადაიდო. მსხვერპლი და ნგრევები არ არის. ერთი კაცი დაზიანდა სტიქიის მიერ პროვოცირებულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში.

* * *

**თურქი ებრაელები აღაშფოთა ჰიტლერმა, რომელიც რეკლამას უწევს შამპუნს „ნამდვილი მამაკაცებისთვის".**

რეკლამაში გამოყენებულია ჰიტლერის ერთ-ერთი გამოსვლის ჩანაწერი ტიტრებით, რომლებზეც აღნიშნულია: „თუ ქალის ტანსაცმელს არ ატარებ, ნუ გამოიყენებ ქალის შამპუნს, აიღე აი ეს. ნამდვილი მამაკაცი ასეთ შამპუნს იყენებს". ადრე ფიტნეს-ცენტრი დუბაიში რეკლამაში იყენებდა ოსვენციმის ფოტოგრაფიას.



## მოყვარეს პირში უძრახე

# დავდივარ თბილისის ქუჩებში...

წერილი მესამე

### რაღა დროს კინოა?!

ასეთ სურათს მარტო მე კი არა, ალბათ თქვენც მრავალგზის გადაწყდომიხართ: კინოთეატრ „რუსთაველთან“ ან „ამირანთან“ შვილიშვილები რომ ეხვეწებიან პაპას ან ბაბუას (იმაზეა დამოკიდებული, თუ საქართველოს რომელი კუთხიდან არიან მათი წინაპრები) – შეგვიყვანე რა კინოში, იქ ხომ „ანოსა და ვანოს თავგადასავალი“ გადისო. მოხუცი კი უარს ეუბნება პატარებს – ამდენი ფული არ მაქვს წამოღებული, რომ ყველას გვეყოსო. შვილიშვილი კი სამია (ღმერთმა უმრავლოს!), თვითონაც – მეოთხე. მხოლოდ წინა რიგების თითო ბილეთი 7,50 ლარი ღირს, რაც, სულ ცოტა, 30 ლარი დაჯდება, უფრო უკეთესი ადგილები კი სულ ცოტა 60 ლარი დაუჯდებათ – თითოეული ბილეთი 14,5 ლარამდეა. თუ უფრო მეტი არა, მაგალითად, „რუსთაველში“ კინოფილმზე „სხვა სამყარო. გამოფხიზლება“ ბილეთი 9,5 ლარიდან 16,50 ლარამდე ღირდა, „ამირანში“ კი კინოსურათზე „ჩემი კვირა მერილინ მონროსთან“ – 14,50 ლარიდან – 15.50 ლარამდე (ალბათ იტყვით, ეგენი ხომ საბავშვო ფილმები არააო) თუმცა ბილეთები არც საბავშვო ფილმებზეა მაინცდამაინც იაფი (სულ ახლა გამოსულ ფილმზე „მეფე ლომი“ – 8,50-დან 10,50 ლარამდე)! შედარებით იაფი ბილეთებია კინოთეატრ „საქართველოში“ – გურამიშვილის გამზირზე, მაგრამ იქ მოხვედრა არ გინდა?

ძირძველ თბილისელებს და შედარებით ახალგაზრდებსაც, ალბათ, ახსოვთ, თუ რამდენი კინოთეატრი იყო თბილისში, ან სად შეიძლებოდა ახალი კინოფილმების ნახვა, რა ღირდა იქ ბილეთი. რუსთაველის გამზირზე იყო კინოთეატრები: „რუსთაველი“, „თბილისი“, „სპარტაკი“, „ივერია“, აგრეთვე კინოს სახლი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის კლუბი, ვოროშილოვის სახ. კლუბი. საზაფხულო კინოთეატრი ალექსანდრეს ბაღში, უფრო ქვევით – მილიციის კლუბი (ერთ დროს გვიან ღამით გერმანიიდან ნადავლად წამოღებულ ფილმსებს რომ აჩვენებდნენ), ახლა კი ათონელის თეატრი რომაა.

ახლა ყოფილ „პლეხანოვისკენ“ (ალმაშენებლის გამზირი) გავიხედოთ. იქ იყო „ოქტომბერი“, „ამირანი“ (კინოქრონიკის დარბაზით), „კომკავშირელი“, „კოლხეთი“, „ნაკადული“ (კამოს ქუჩის დასაწყისში, ერთ დროს 3D სისტემით გადაღებული „მულტფილმების ნახვა სპეციალური სათვალეებით რომ შეიძლებოდა), ამათ ემატებოდა გორკის ბაღი, ვაჭრობის მუშაკთა კლუბი („საბაჩი პერეულოკში“), უფრო იქით კი „კოლმეურნე“ (ახლა ვგონებ, „საპოვენელა“ ჰქვია), საბურთალოზე რომ იყო კინოთეატრები „გაზაფხული“, „თანამგზავრი-, კინოდარბაზი „შანხაი“, ავლაბარში „ისანი“ და ბევრი სხვა. ისე რომ, თბილისში კინომოყვარულებს სულ ცოტა 35 ადგილამდე ელოდნენ. ახლა კი თბილისში მხოლოდ სამი კინოთეატრი მუშაობს – „რუსთაველი“, „ამირანი“ („პლეხანოვიდან“ – საკონცერტო დარბაზის ქვეშ რომ „გადმოსახლდა“) და „საქართველო“, თუ არ ვცდები, მათ მაყურებელი არ აკლიათ. მაგრამ უფრო მეტი ეყოლებოდათ, ბილეთის ფასი ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო. ტყუილად ნუ მოიმიზეზებენ, – ტელევიზია გვიშლის ხელსო. აბა, რომელი ახალი ფილმის ნახვა შეიძლება ტელევიზიით? ეს ბედნიერება ბოლო დროს მხოლოდ გ. შენგელაიას და ა. ვარსიმაშვილის ფილმებს და ზოგიერთ სხვას, მაგალითად, „ჭამა და სექსი“ თუ აქვს. ტელეეკრანებზე ნამდვილად ძნელი სანახავია ახალი ქართული ფილმები, მსოფლიო თუ არა, მთელი ევროპა რომ ლაპარაკობენ, კინოფესტივალებზე რომ იმარჯვებენ. არადა, ბევრი სასიკეთო საქმე კეთდება. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ძველ ქართულ კინოფილმებს ნამდვილად დიდ სიცოცხლეს მატებს ტელეარხი „ერთსულოვნება“. მხოლოდ ბოლო ერთ კვირაში მან აჩვენა „ოთარაანთ ქვრივი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ოთხი შარვალი და ერთი კაბა“, „ჩრდილი გზაზე“, „მზე შემოდგომისა“, „ქრისტინე“, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „როცა აყვავდა ნუში“ და სხვა. განა სიკეთე არაა ახალი მულტფილმების ქართულად თარგმნა-გახმოვანება, თუნდაც ბოლო დღეებში გამოსული „მეფე ლომი“. სამწუხაროდ, რატომღაც არ სწყალობენ პოპულარულ ქართულ მულტფილმებს „ჩხიკვთა ქორწილი“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“ და სხვები.



რადგან კინოთეატრებში ბილეთის ფასზე ვლაპარაკობთ, უნდა ვთქვათ დედაქალაქის თეატრების ბილეთების ღირებულებაზე – შოთა რუსთაველის სახ. თეატრში ბილეთის ფასი ძირითადად 8-დან 10 ლარამდეა, „კაცია-ადამიანზე“ კი 9-დან 12 ლარამდე, მარჯანიშვილის თეატრში ძირითადად 4-დან 11 ლარამდე,გრიბოედოვის სახელობის თეატრში – 5 ლარი და ა. შ. სამწუხაროდ, საგრძნობლად გაიზარდა ბილეთების ფასი ცირკში – 8 ლარიდან 25 ლარამდე ღირს. აბა, წარმოიდგინეთ მოხუცი პაპის მდგომარეობა – ერთხელ მაინც ხომ უნდა აჩვენოს შვილიშვილებს საცირკო წარმოდგენა, ახლა იქ შესვენებისას დამატებული ხარჯებიც იანგარიშეთ და სულ ცოტა – ერთი თვის პენსიის დატოვება მაინც მოუხდება იქ!

ისე რომ, იქნებ უფრო თეატრებისკენ გაუწიოს გულმა, ოღონდ არავის ათქმევინოთ – რაღა დროს კინოა!

**ვალიკო სიმონიშვილი**

დასაწყისი იხ. I – 30.12.2011 წ. II – 29.02.2012

## ფულადი გზავნილები

# როცა თავს ზევით ძალა არაა...

**საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციამ ბოლო წლებში მასშტაბური ხასიათი რომ მიიღო, არახალია. ამის უმთავრესი მიზეზი, სამწუხაროდ, ეკონომიკურია, რაც ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონით, სოციალური და ყოფითი დისკომფორტით, ლტოლვილობით ა.შ. არის განპირობებული.**

ქვეყნიდან მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად, ანდა სასწავლებლად თუ სამუშაოდ გასული ხალხის ზუსტი ოდენობა, სანდო სტატისტიკურ მონაცემთა არარსებობის გამო, სადღეისოდ ცნობილი არ არის, მაგრამ ექსპერტების უმრავლესობის აზრით, მათი რიცხვი დაახლოებით მილიონი კაცია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავიანთ ოჯახებს, ნათესავ-ახლობლებს, ცხადია, შესაძლებლობის ფარგლებში, ფულად დახმარებას უწევენ და ეს თანხები საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მეტად მნიშვნელოვანი წყაროა.

ამის დასტურად თუნდაც იმის თქმა კმარა, რომ შარშან ფულადი გზავნილების სახით საქართველოში მსოფლიოს 190 ქვეყნიდან მილიარდ 268 მილიონი დოლარი გადმოგზავნეს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ბოლო რვა წლის მანძილზე საქართველოში ამ გზით შემოსული სახსრების მოცულობა დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში მთლიანად 6 მილიარდ 246 მილიონი დოლარი გადმოირიცხა (ამ მხრივ ყველაზე მეტი სახსრები შარშან შემოვიდა), როცა აქედან უცხოეთში მხოლოდ 740 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი გაიგზავნა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში გადმოგზავნილი ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 60 პროცენტი), ისევე, როგორც წინა წლებში, დსთ-ს, თითქმის მესამედი – ევროპის, დანარჩენი კი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზიის, ასევე ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებზე მოდის. რაც შეეხება მიგრირებული მოსახლეობის განსახლების გეოგრაფიას, ციფრობრივად იგი ზუსტად ისეთივეა, როგორიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან საქართველოში შემოსული ფულადი სახსრების ოდენობა: მათი 69 პროცენტი დსთ-ს, 28 პროცენტი – ევროპის, დანარჩენი კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში ცხოვრობს. უნდა ითქვას,




რომ ამის შესაბამისად, შარშან, ისევე, როგორც 2010 წელს, ყველაზე მეტი ფული საქართველოში მოსახლეობას ახლობლებმა რუსეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და უკრაინიდან გამოუგზავნეს, თანაც გზავნილთა პიკი, ტრადიციულად, წინა საახალწლო პერიოდზე მოდიოდა.

ამასთან, ფულად გზავნილებთან დაკავშირებით, შარშან ერთობ საგულისხმო ტენდენცია გამოიკვეთა. საქმე ის არის, რომ საგრძნობლად გაიზარდა სახსრების შემოდინება ისეთი ქვეყნებიდან, საიდანაც მანამდე საქართველოში გადმოგზავნილი თანხები მაინცდამაინც დიდი მოცულობისა არ ყოფილა. კერძოდ, წინა წელთან შედარებით, თვრამეტჯერ გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობა ინდოეთიდან, ოთხჯერ – კოლუმბიიდან, სამჯერ – ბენინიდან, ორნახევარჯერ – ავსტრალიიდან, რუმინეთიდან და ყირგიზეთიდან.

რაც შეეხება საქართველოდან ფულის გადარიცხვას, შარშან იგი ადრესატებმა მსოფლიოს 156 ქვეყანაში მიიღეს, მათ შორის ყველაზე მეტი თანხები რუსეთში, საბერძნეთსა და უკრაინაში გაიგზავნა – ისევე, როგორც ეს წინა წლებში იყო. მთლიანად კი, ყველაზე მეტი ფული საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში გაიგზავნა (დაახლოებით 60 პროცენტი), ევროპის ქვეყნებში ამ თანხის 26 პროცენტი მიიღეს, დანარჩენი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, აზიისა და ლათინურ ამერიკაში.

შარშან საქართველოში უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებთან დაკავშირებით კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო გარემოება ისაა, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, მათი ოდენობა მისი, ასე ვთქვათ, ყველაზე „ცხელი წერტილებიდან“ გაიზარდა. კერძოდ კი, ჩვენი მოსახლეობისთვის გამოგზავნილმა თანხებმა საგრძნობლად იმატა პორტუგალიიდან (62 პროცენტით), იტალიიდან (43 პროცენტით), საბერძნეთიდან (40 პროცენტით) და ესპანეთიდან (14 პროცენტით). ამის მიზეზის ახსნას ბევრი ტვინის ჭყლეტა არ უნდა: ყველამ კარგად ვიცით, რომ მიგრანტთა დიდი ნაწილი არაკვალიფიციური შრომითაა დაკავებული და, რაც მთავარია, არალეგალურად მუშაობს, რის გამო ადგილობრივ მუშახელთან შედარებით დაბალ ანაზღაურებას იღებს, თუმცა კი ეს ხელს აძლევს ორივე მხარეს – დამსაქმებელსაც და დასაქმებულსაც.

ეს, ცხადია, გულის მომკვლელი გარემოებაა, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით როცა ძალა არაა...

**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია

### ქდმ და შემოსავლების სამსახური თონეებისა და სალონებისთვის ფიქსირებული გადასახადის განახევრებაზე შეთანხმდნენ



**ფიქსირებული გადასახადი თონეებზე თვეში 100 ლარი უნდა ყოფილიყო, ხოლო სილამაზის სალონის ერთ სკამზე ასევე 100 ლარი.**

**როგორც გუშინ შემოსავლების სამსახურის უფროს ჯაბა ებანოიძესთან შეხვედრის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატმა ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეთანხმდნენ, რომ თონეებზე და სილამაზის სალონის სკამზეც ფიქსირებული გადასახადი 50-50 ლარი იქნება.**

**ლევან ვეფხვაძე ამბობს, რომ ასევე არის შეთანხმება იმასთან დაკავშირებითაც, რომ თუ რომელიმე თონე ან სალონი იყენებდა სალარო აპარატს და ახლა სურს ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლა, შემოსავლების სამსახური ამ სალარო აპარატის გაყიდვაში დაეხმარება.**



**დეპუტატს ფიქსირებული გადასახადის დაწესება მნიშვნელოვან და სერიოზულ შეღავათად მიაჩნია მცირე ბიზნესისთვის.**

### ლაფანყურის ტყეში 28 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

**თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში, ტყეში 28 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. პოლიციის ინფორმაციით, მოსე ლუსკიშვილი, რომელიც ტყეში დაკარგულ საქონელს ეძებდა, შემთხვევით დაეცა, რა დროსაც საკუთარი სანადირო თოფიდან ტყვია გავარდა და ახალგაზრდა თავის არეში დაიჭრა.**

**„მოსე ლუსკიშვილი ტყეში საქონლის მოსაძებნად იყო წასული, რომელიც წინა დღეს დაკარგა. უბედური შემთხვევა დილის საათებში მოხდა. იგი ახალი დაოჯახებული იყო. მას ფეხმძიმე მეუღლე დარჩა„ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ლაფანყურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა მორის პარკინაშვილმა.**

**მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას თელავის პოლიციია აწარმოებს.**

ინტერპრესი

ფეხბურთი

# ფრე ფავორიტთან



**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ელიტრაუნდი ფრით გახსნა. ვასილ მაისურაძის გუნდი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ესპანეთს პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ს ამარცხებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო.**

ანგარიში მე-2 წუთზე ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნა. საპასუხო გოლი კი მე-60 წუთზე კუთხურის შემდეგ თავურით საესმა გაიტანა.

საქართველოს ნაკრები მეორე მატჩს 28 მარტს 14 საათზე კვლავ „მიხეილ მესხზე" გამართავს. მეტოქედ ინგლისი ეყოლება.

**გუშინ ეროვნულზე:** ინგლისი–უკრაინა 1:0.

# აქეთურ-იქითური

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის პლეიოფის IV ტურში ორი ისეთი მატჩი გაიმართა, ექვსქულიანს რომ უწოდებენ სპეციალისტები.**

**„ზესტაფონი" — „მეტალურგი" 2:1**

**გოლები:** დვალი, ონიანი; სიხარულიძე.

ამ შეხვედრის წინ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონები უახლოეს მდევარს ორი ქულით უსწრებდნენ, თან ერთი გამოტოვებული თამაშიც ჰქონდათ მარაგში, ასე რომ, სტუმრებს უკანასკნელი შანსი მიეცათ, ყვირილისპირელთათვის ხელი შეეშალათ ტიტულის შესანარჩუნებლად გაჩაღებულ ბრძოლაში.

მათ მართლაც ყველაფერი გაიღეს სასურველი მიზნის მისაღწევად, მაგრამ ხომ გვსმენია — თავს ზემოთ ძალა არ არისო. თუ უფრო დავკონკრეტდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ დუელის ბედი მასპინძელთა შედარებით მაღალმა საშემსრულებლო ოსტატობამ გადაწყვიტა და სავსებით ლოგიკური იქნება, თუ ყოფილი თავკაცის გია გეგუჩაძის ჩაყრილი ნერგი მისი მემკვიდრის გიორგი ჭიაბერაშვილის ზეობისას იხარებს.

**„ტორპედო" — „დინამო" 1:1**

**გოლები:** გოცირიძე, თომაშვილი.

ბრინჯაოს მაძიებელთა ჯახს დატვირთვას ამერ-იმერთა ტრადიციულად პრინციპული ურთიერთობა მატებდა, მისი შედეგით ყველაზე უკეთ „ზესტაფონმა" იხეირა, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა ჰანდიკაპი უშუალო კონკურენტებთან.

რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატების მუდმივი ფავორიტის ზედიზედ მესამე ფრეს, არა გვგონია „თეთრ-ლურჯთა" ამბიციურ უფროსობას სახელოვანი კლუბის დამრიგებლად გიორგი დევდარიანი ლოკალური წარმატების მოსაპოვებლად მიეწვიოს.

**დანარჩენი შედეგები:** „მერანი" — „ბაია" 2:1, „კოლხეთი" — „დილა" 0:0.




**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი" — 37, „მეტალურგი" — 32, „დინამო" — 26, „ტორპედო" — 25, „მერანი", „ბაია", „დილა" — 17-17, „კოლხეთი" — 16 ქულა.

**ბომბარდირი:** დვალი („ზესტაფონი") — 14 გოლი.

**29 მარტს გაიმართება გამოტოვებული შეხვედრები:** „ზესტაფონი" — „ტორპედო", „დინამო" — „დილა", „კოლხეთი" — „ბაია".

* * *

**იტალია.** „მილანი" — „რომა" 2:1, „იუვენტუსი" — „ინტერი" 2:0, „ნაპოლი" — „კატანია" 2:2, „ლაციო" — „კალიარი" 1:0, „პალერმო" — „უდინეზე" 1:1.

**ესპანეთი.** „მალიორკა" — „ბარსელონა" 0:2, „რეალი" — „სოსიედადი" 5:1, „ხეტაფე" — „ვალენსია" 3:1, „ბილბაო" — „ხიხონი" 1:1, „სარაგოსა" — „ატლეტიკო" 1:0.

**ინგლისი.** „სტოკი" — „სიტი" 1:1, „ლივერპული" — „უიგანი" 1:2, „არსენალი" — „ასტონ ვილა" 2:0, „ჩელსი" — „ტოტენჰემი" 0:0.

**გერმანია.** „ბაიერნი" — „ჰანოვერი" 2:1, „კიოლნი" — „ბორუსია" 1:6, „შალკე" — „ლევერკუზენი" 2:0, „გლადბახი" — „ჰოფენჰაიმი" 1:2.

კალათბურთი

# მწარე რეალობა



**როგორც გახსოვთ, რუსეთში მოღვაწე ზღვისპირელი ბიზნესმენის მინდია გულუას ძალისხმევით სოხუმელები სეზონის წინ ლეგიონერებით გაძლიერდნენ და ევროსარბიელიც დააჭაშნიკეს, თუმცა როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ ტკბილი მოსაგონარი ეპიზოდი ყოფილა.**

ამის შესახებ სუპერლიგის XVIII ტურის შემდეგ დევნილთა კლუბის კაპიტნის ლაშა ფარღალავას განცხადებიდან შევიტყვეთ, რომელმაც გულწრფელად გაგვანდო მწარე რეალობა: უკვე რამდენიმე თვეა, ხელფასი არ აგვიღია, ელემენტარულ სავარჯიშო პირობებსა და მოტივაციას მოკლებულნი ვართ, ფსიქოლოგიურ და მორალურ კრიზისს განვიცდითო, თვით მატჩი შსს აკადემიამ იოლად — 74:52 მოიგო.

ტურის მოვლენად იქცა „რუსთავისა" და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის „არმიას" ბრძოლა, რომელშიც ფავორიტი მხოლოდ ბოლო წუთებზე გადაურჩა პირველ წაგებას — 75:71. მათგან ტრადიციისამებრ, თომასმა იყოჩაღა — 24 ქულა და 14 მოხსნა, მასპინძელთაგან კი ჩაჩანიძე, ხმელიძე — 17-17 ქულა და ტუჯანი — 10 ქულა, 11 მოხსნა გამოირჩეოდნენ.

**დანარჩენი შედეგები:** „სამედიცინო" — „ქუთაისი" 84:92, სტუ — თსუ 77:100, „ბათუმი" — „ოლიმპი" 85:103. ისვენებდა „დინამო".

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია" — 17, „ქუთაისი", „ოლიმპი" — 14-14, „სოხუმი", შსს აკადემია — 10-10, „დინამო" — 9, „სამედიცინო" — 7, თსუ — 6, სტუ — 5, „ბათუმი" — 2, „რუსთავი" — 1 მოგება.

სამთო თხილამურები

# მდიდრული ალაფით



**თურქულმა ერზერუმმა და ყარსმა სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლა. შეჯიბრებებში საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენებმა რვა მედალი მოიხვეჭეს. გიგანტურ სლალომში პირველი ადგილი დაიკავა ბაკურიანელმა ნიკოლოზ კოზანაშვილმა, რომელმაც სლალომში ორი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.** ვერცხლის მედლები სლალომში სოსო ჯაფარიძემ (გუდაური) და სუსანა გავამ (ბაკურიანი) დაიმსახურეს. ორივემ გიგანტურ სლალომში ბრინჯაოს მედლებითაც გაიმდიდრა კოლექცია. მერვე მედალი ჩვენს გუნდს კახა კურტანიძემ მოუტანა — სლალომში ორი დაშვების ჯამში იგი მესამე ადგილზე გავიდა.

**გივი გაგუა**

ბატუტზე ხტომა



# ლიდერები — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

**თბილისის ტანვარჯიშის სახეობათა სასპორტო დარბაზში ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ჩემპიონატში 30-ზე მეტი ქალ-ვაჟი მონაწილეობდა.** გოგონებში უკონკურენციო იყო პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატი ლუბა გოლოვინა, რომელმაც ფინალში 52,04 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს 1,56 ქულით ჩამორჩა 12-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი ანა ოდიშვილი, ხოლო 49,98 ქულით მესამე ადგილი თეონა ჯანჯღავას ერგო. ვაჟებში ყველას ისევ თენგიზ კოშკაძემ (53,43) აჯობა, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა სარბიელს და ნელ-ნელა იბრუნებს უწინდელ ფორმას. 48,65 ქულით მეორე იყო ზურაბ ნოზაძე, 54,70 ქულით კი მესამე ადგილი რუსტამ კალოევმა დაიკავა.

საქართველოს ნაკრების წევრები მეორე დღეა, დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე იმყოფებიან და მონდომებით ემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 9 აპრილიდან სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს. პეტრეს ქალაქში ჩვენებურთაგან იასპარეზებენ: უფროსებში — ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე, თამარ კაკაშვილი, ხოლო ახალგაზრდებში — ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა და ზურაბ ნოზაძე.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე:** გოგონათა და ვაჟთა შორის ერვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულები და პრიზიორები.

**ვაჟა დანელიას ფოტოები.**



ფარიკაობა

# ჭაბუკებმა აფხაზეთის თასი გაითამაშეს

**თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, გურიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ორჯონიკიძის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 1999-2002 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში აფხაზეთის თასზე, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის დარბაზმა უმასპინძლა.**

სამდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ სამივე სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. გაუწყებთ მათს ვინაობას:

**გოგონები. ხმალი.** 1. ელენე ნანობაშვილი, 2. ანა აფსანიძე (ორივე — თბილისი), 3. თამარ კენჯაია (აფხაზეთი), ნარიმან ჯაფაროვა (აზერბაიჯანი). **რაპირა.** 1. ლიკა ჯიჯეიშვილი (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ანა შუბაშვილი (თბილისი), მარიამ ველიკოვა (აზერბაიჯანი). **დაშნა.** 1. მანანა საუმოვა, 2. ალიონა სურაშენკო, 3. მარინა კესაევა (ორივე — ორჯონიკიძე), ნინო გაბუნია (ქუთაისი).



**ვაჟები. ხმალი.** 1. ნიკა შენგელია (აფხაზეთი), 2. ჯავანშირ აგიკიშიევი (აზერბაიჯანი), 3. ვაჟა რეჭია (აფხაზეთი), გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი). **რაპირა.** 1. გივი ხართიშვილი (თბილისი), 2. გიორგი ჭუმბურიძე (ქუთაისი), 3. არსენ დალაქიანი, კარენ სორსუნათიანი (ორივე — სომხეთი). **დაშნა.** 1. ალან კესაევი (ორჯონიკიძე), 2. გელა მჟავია (ოზურგეთი), 3. ნიკა კილასონია (რუსთავი), არსენ არაზიანი (სომხეთი).

**მოსკოვში 30 მარტს დაიწყება და 7 აპრილს დამთავრდება ყმაწვილ მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობა.** კადეტ მოხმალავეთა შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს სულამანიძე, ახალგაზრდებში სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი და დავით უკლება იასპარეზებენ. კადეტთა შორის რაპირაში საფარიკაო ბილიკებზე გავლენ თეონა გოგლიძე და ლუკა ლალანიძე. ისინი არჩილ უგულავასთან ერთად ახალგაზრდებშიც მოსინჯავენ ძალებს.

**ლაშა დიდია**

ახალი წიგნი

# როგორ დავიცვათ გარემო?..

## ახალი სამეცნიერო ნაშრომი სტიქიური მოვლენებისგან ქვეყნის ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

**2011 წელს ქართულ ტექნიკურ სამეცნიერო ლიტერატურას შეემატა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი გავარდაშვილის მონოგრაფია „ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები“(237 გვერდი).**




მონოგრაფიაში განხილულია საქართველოსათვის მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უმთავრესად ეხება სტიქიური მოვლენებისაგან გარემოს, მათ შორის მთის ლანდშაფტების, უსაფრთხოების უზრუნველყოფას სპეციალური საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიებების განხორციელებით.

ნაშრომში შემოთავაზებულია ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო რესურსდამზოგი ახალი კონსტრუქციები და მათი დაპროექტებისათვის საჭირო გაანგარიშების მეთოდოლოგია; ასევე ფიტომელიორაციული და ბიოსაინჟინრო საშუალებები რომლებიც გამოყენებული იქნება გარემოზე ღვარცოფებისა და წყალდიდობების ნეგატიური ზემოქმედების ინტენსიურობის შემცირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა, როგორც ბორჯომის რაიონში (2008 წლის აგვისტოს თვეში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყის მთის ფერდობებზე ეროზირებულ-სენსიტიურ უბნებზე), ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც (ლენტეხი, ცაგერი, დუშეთი, ახმეტა და სხვ.) დაადასტურა თავისი ეფექტიანობა.

ნაშრომში წარმოდგენილია აგრეთვე საქართველოს 5 ძირითადი კაშხლის (ჟინვალის, სიონის, ლაჯანურის, შაორის და ენგურის) შესაძლო ავარიის შემთხვევაში ფორმირებული წყალდიდობის საანგარიშო (კომპიუტერული იმიტაციის მეთოდიკის გამოყენებით მიღებული პროგნოზის შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ჰიდროკვანძების მიმდებარე ტერიტორიების (ქვედა ბიეფის) უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების შერჩევის, არამედ საქართველოში დამუშავებული უფრო ზუსტი კომპიუტერული პროგრამის (DBW) საფუძველზე შესაბამისი ტესტური გათვლებისათვის.

**წიგნი უდავოდ საინტერესოა ჰიდროსაინჟინრო და გარემოს დაცვის დარგებში მომუშავე მეცნიერი სპეციალისტებისათვის, რომლებსაც საშუალება ექნებათ, შემოთავაზებული ორიგინალური მეთოდოლოგიის საფუძველზე მომავალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შესაძლო საგანგებო პირობებში მთის ლანდშაფტებისა და ჰიდროკვანძების ქვედა ბიეფის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განახორციელონ საინჟინრო-ეკოლოგიური და სხვა სახის ღონისძიებები.**

თეიმურაზ გველესიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი.

SIC!

# საკვირველი დაუდევრობა

## ანუ ჩვენებური ბედოვლათობა!

**მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1961 წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავი.**

**ქვემოთ მოგვყავს ვაჟა-ფშაველას წერილი, რომელიც გამოქვეყნებულია „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის №584-ში, სათაურით „მცირე შენიშვნა“.**

ჩემი ნაწერების გამომცემლების საყურადღებოდ ვწერ ამ შენიშვნას, რომ დღევანდელი შეცდომა არ გამეორდეს.

ბ. ივ. გომელაურმა დაბეჭდა ცალკე წიგნად ჩემი სამი საყმაწვილო მოთხრობა სათაურით: „სამი საყმაწვილო ამბავი“. აქვე ჩაურთავს ჩემი ბიოგრაფია, სადაც ბლომად შეცდომები შეჰპარვია: თუ ბიოგრაფია იწერება, უნდა დაიწეროს სიმართლით, ნამეტნავად სიყალბე უნდა შესწორდეს ჩემს სიცოცხლეშივე, რადგან იგი ჩემი სიკვდილის შემდეგაც იზარტყება საკმაოდ.

მე დავიბადე სოფ. ჩარგალში 1862 წლის 15 მაისს, არადროს მე ჩემს სოფელში სასწავლებელში არ მისწავლია და არც მასწავლებლად ვყოფილვარ. პირველად მამაჩემმა მიმაბარა თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის მესამე კლასიდან მე შევედი ტფილისის სამოქალაქო სკოლაში, რომელიც ინსტიტუტთან არსებობს. სამოქალაქო სკოლაში, რომ დავასრულე კურსი, შემდეგ გორის სემინარიაში შევედი. როცა იქაც სწავლა დავამთავრე, დამნიშნეს მასწავლებლად ტოლად სოფელში (ერწოში), სადაც ერთი წელიწადი დავყავი და შემდეგ პეტერბურგში წავედი უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად... დანარჩენ ცნობებზე, რაც ბ. ივ. გომელაურსა აქვს მოყვანილი ჩემს ბიოგრაფიაში, არაფერი მეთქმის.

ვაჟა-ფშაველა

**P. S. ასე რომ, სჯობს გვიან, 100 წლის შემდეგ მაინც, ალვადგინოთ სამართლიანობა და ყველგან დროულად გავასწოროთ შეცდომა (იხ. ქსე, ტომი 4, გვ. 296-ის თანახმად დაბადების თარიღად მითითებულია 1861 წლის 14 ივლისი), რადგან დიდი მწერლის დაბადების 150 წლისთავი ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა 2011 წელს.**

მოგვაწოდა
მედეა თავდიშვილმა
28.02.2012.

ინფორმაცია

# გოგონა თვითმკვლელობისგან პოლიციელმა გადაარჩინა

**შემთხვევა საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ადგილზე საგანგებო სიტუაციების სამსახური, საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარება იყო მობილიზებული. როგორც ადგილობრივი მოზარდები ამბობენ, გოგონა შეყვარებულს დაშორდა და თვითმკვლელობა ამიტომ გადაწყვიტა. სამაშველო სამსახურის წარმომადგენლების თქმით, გოგონას გადარჩენა პოლიციელმა შეძლო.**



რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კვალი ნათელი

# ერემო დანელია



**საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ექიმი ონკოუროლოგი, მედიცინის დოქტორი, ცენტრის უროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი – ერემო დანელია.**

**ყველას მოაკლდა მისი სითბო და სიყვარული. მძიმეა დაჯერება, რომ მისმა ოცნებებმა, მიზნებმა და იმედებმა ასე უდროოდ შეწყვიტეს არსებობა. უნდოდა ყველაფერი ლამაზად და ღირსეულად ეკეთებინა, ისე როგორც ღირსეულ ექიმსა და ნამდვილ ქართველს შეშვენოდა...**

**წავიდა ჩვენგან დიდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავისი საქმის უბადლო ოსტატი.**

**ერემო დანელია დაიბადა 1954 წლის 4 ივლისს. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ბაზაზე, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან დაუკავშირა ონკოლოგიასა და უროლოგიას. მან განვლო პროფესიული გზა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან უროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობამდე.**

**1993 წელს რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა ექიმი ონკო-ქირურგის უმაღლესი კატეგორია.**

**1994 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: "სათესლე ჯირკვლის სიმსივნეების გავრცელება საქართველოში და მისი დიაგნოსტიკის გაუმჯობესების გზები". ჩვენს ცენტრში ის ეწეოდა პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას, იყო ყოველმხრივ განათლებული, ერუდირებული ექიმი, ევროპის უროლოგთა ასოციაციის წევრი, მრავალი სამეცნიერო კონფერენციისა და ფორუმის მონაწილე, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და 2 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. პროფესორ დავით გოცაძესთან ერთად აკეთებდა ურთულეს ოპერაციებს, იყვნენ მუდმივ მოძრაობაში, ძიებაში, შემოქმედებით ჭიდილსა და პროფესიულ სრულყოფაში.**

**ერემო იყო არაჩვეულებრივად თბილი, მოყვასი ადამიანი, ბრწყინვალე მეგობარი, ღირსეული კოლეგა, განსაკუთრებულად ყურადღებიანი ავადმყოფების მიმართ.**

**ოჯახს მოაკლდა მოსიყვარულე მეუღლე და მამა, თანამშრომლებს – უანგარო მეგობარი და კოლეგა, საზოგადოებას – განათლებული ექიმი.**

**მომავლის იმედი არ დაუკარგავს, ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია, წინ იყურებოდა და ნათელ მომავალს შენატროდა. მისი ცხოვრება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისთვის. სამაგალითოა მისი შრომისმოყვარეობა, უანგარობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება, რაც ასე ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.**

**მისი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასოდეს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასოდეს მოკვდება.**

**გულისტკივილით გემშვიდობებით, ბატონო ერემო, ღმერთმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.**

საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი,
კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება,
საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია.

---

**საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, კ.ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ექიმი ონკო-უროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ცენტრის უროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი**

ერემო დანელია

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს.**

---

**გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს**

ნაზი ნადარეიშვილი-ტაბიძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს, ვაჟა ტაბიძეს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**სპარტაკ ქობულია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკი, დიდი ოჯახის მამა და ბაბუა, კეთილშობილი პიროვნება, ქართული სოფლის, ქართული ცნობიერების, ქართული ტრადიციების დიდი გულშემატკივარი, საგვარეულოს ნამდვილი ბერმუხა**

ღუღუნი კონსტანტინეს ძე ჭანტურია

**და თანაუგრძნობს განსვენებულის შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, უახლოეს მეგობრებს და ნათესავებს.**
**დაკრძალვა 29 III, წალენჯიხის რაიონის სოფ. საჩინოში.**

---

**შვილები თორნიკე, მერაბი (გია) კიკალიშვილები, და ციალა ცანავა, რძლები მანანა ნაჭყებია, მანანა სართანია, შვილიშვილები დათო, გიორგი, ლაშა, ნათია კიკალიშვილები, რძლები თეა ბულია, მარი პაპავა, სიძე ზურაბ ზურაშვილი, მაზლები შოთა, კლიმენტი კიკალიშვილები, რძლები ეთერ კოკელაძე, ნუნუ შენგელია, მაზლიშვილები ნუგზარ, ზურაბ, თამარ, ნანა, ლადო, თეა კიკალიშვილები ოჯახებით, სიძეები დათო კანკია, გერონტი თორდია, შვილთაშვილის შვილები, დისწულები, ბიძაშვილები და სხვა უახლოესი ნათესავები იუწყებიან**

ნათელა ცანავა-კიკალიშვილის

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 III, 17 სთ. ქ. ზუგდიდი, სოხუმის გზატკეცილი №106. დაკრძალვა 29 III, 15 სთ.**

## შეუცნობელი

# ტუნგუსის „ღვინის თასის“ საიდუმლო

**გადამდგარ სამხედრო მოსამსახურეს იგორ პოდუხევიჩს სახლში ერთობ უცნაური რელიკვია აქვს, რომელიც ღვინის თასს ჰგავს. თუმცა მასალა, რომლისგან თასია დამზადებული, მეტად უჩვეულოა: იგი გაუმჭვირვალეა, ნაცრისფერი ლითონის ბზინვარებით, კედლები ჩვეულებრივზე ორჯერ სქელი აქვს, ფეხი — ზედმეტად მასიური, პროფილი — უსწორმასწორო, ერთგვარი წრიული დაღვენთილობებით... მაგრამ ფორმისა და მასალის უჩვეულობისდა მიუხედავად, თასი საოცრად ლამაზია, ეგ არის ოღონდ — ჩვეულებრივი, ყოფითი ნივთისთვის იგი გაუმართლებლად რთული ნაკეთობაა...**

ღვინის თასის პატრონი ერთობ რაციონალური კაცია, რომელიც მისტიკით გატაცებული არასდროს ყოფილა, არც ზებუნებრივი რაღაცეებისა სწამს. ამიტომაცაა, რომ თუკი იგი ამ ნივთს არამიწიერი წარმოშობის ობიექტად მიიჩნევს, მაშასადამე მის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა.

— რამდენიმე სამეცნიერო ლაბორატორიაში ჩატარებული თასის მასალის ანალიზის შედეგად მკვლევარებმა ეჭვშეუტანელი დასკვნა გამოიტანეს: **დედამიწის პირობებში მსგავსი შედგენილობის შენადნობის დამზადების ტექნოლოგია არ არსებობს, მაშასადამე აქ მისი მიღება შეუძლებელია!**



სარატოვის სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის დასკვნაში, კერძოდ მითითებულია, რომ **შენადნობი, რომლისგან ღვინის თასია დამზადებული, 90 პროცენტზე მეტ კაჟბადს შეიცავს. მთავარი მინარევია ნიკელი (5 პროცენტზე მეტი), მის გარდა შენადნობი კალიუმს, ნიკელს, რკინას, ოსმიუმს, ნეოდიმს, სელენს, ბრომს, ფოსფორს, კობალტს და კიდევ რამდენიმე ქიმიურ ელემენტს შეიცავს.** საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა **რენტგენოსპექტრულმა მიკროანალიზმა აღნიშნული დასკვნის სისწორე პროცენტის მეათედ ნაწილებამდე დაადასტურა.**

ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი ვიქტორ პანიუშკინი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ **დედამიწაზე არსებულ პირობებში კომპონენტების შენადნობში ასეთი შეფარდება არ გვხვდება, ხოლო ნაკეთობის მასალაში ოსმიუმის შემცველობა თითქმის დანამდვილებით მოწმობს მის კოსმოსურ წარმომავლობას.**

არანაკლებ გასაოცარია თასის დამზადების ტექნოლოგიაც: მისი სახარატო დაზგაზე დამუშავება გამორიცხულია, რადგან მიკროსკოპით დათვალიერებისას ჩანს, რომ უწვრილესი ნაჭდევები, სპირალური კი არ არის, რომელსაც საჭრისი დატოვებდა, არამედ წრიულია. თანაც სუფთა კაჟბადი სახარატო დაზგაზე არ მუშავდება. იქნებ ეს ხელოვნურად გაზრდილი კრისტალია? მაგრამ მაშინ რატომ აქვს თასის ფორმა? ვთქვათ, იგი ჩამოსხმულია, მაშინ მას ფორმის კვალი უნდა ემჩნეოდეს, მაგრამ ასეთი კვალი არ არის. გარდა ამისა, დაადგინეს, რომ შენადნობის დნობის ტემპერატურა ცელსიუსის 1840 გრადუსია. შენადნობში აღმოჩენილ კომპონენტთა შორის უფრო მაღალი ტემპერატურა კი ოსმიუმს აქვს, მაშასადამე ეს არც ჩამონასხამია. მაშ, როგორია თასის დამზადების ტექნოლოგია?

პროფესორ ვ.პანიუშკინის აზრით, ერთადერთი შესაძლო დასკვნა ისაა, რომ ობიექტი კოსმოსური ტექნოლოგიითაა შექმნილი.

„ღვინის ფუჟერი“ ი.პოდუხევიჩს პაპის ძმამ, ბირთვულმა ფიზიკოსმა კირილე პოდუხევიჩმა აჩუქა, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში მდინარე პოდკამენაია ტუნგუსკაზე (სადაც ცნობილი ტუნგუსის მეტეორიტი ჩამოვარდა — **რედ.**) ექსპედიციაში ყოფნისას ეს ნაკეთობა იპოვა. ბუნებით ცნობისმოყვარე მეცნიერმა თასიდან წყლის სმა დაიწყო და შეამჩნია, რომ ამის შემდეგ მისი ორგანიზმის იმუნიტეტი მკვეთრად ამაღლდა. 102 წელს მიღწეულმა ფიზიკოსმა, რომელსაც საკმაო დოზით დასხივებაც ექნებოდა მიღებული და გარდაცვალებამდე არც ავადმყოფობდა და საღ გონებაზეც იყო, რელიქვია ძმის შვილიშვილს უანდერძა.

თავდაპირველად ეს ძღვენი სადღაც ბნელ კუნჭულში იყო მივიწყებული და პატრონს მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, როცა მისი ქალიშვილი საშინელ ავტოკატასტროფაში მოყვა. **16 ტრავმის გამო, რომელთაგან ექვსი, ექიმთა ვერდიქტით, „სიცოცხლესთან შეუთავსებელი იყო“ (!) მას ოდესმე ფეხზე დადგომის ყოველგვარი შანსი დაკარგული ჰქონდა.** მამამ ქალიშვილისთვის ყველა სასმელის მიცემა მხოლოდ „იმ“ თასით დაიწყო... და მოხდა სასწაული: ორი თვის შემდეგ ტრავმატოლოგები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ: „სადაა მოტეხილობების კვალი და როგორ შეხორცდა კუჭქვეშა ჯირკვალი?“ — კითხულობდნენ გაოგნებული ექიმები.

შვილის სასწაულებრივი გადარჩენის შემდეგ ი.პოდუხევიჩმა „ფუჟერით“ სამკურნალო წყლის დამზადება დაიწყო. სნეული ხალხი მასთან მთელი რუსეთიდან ახლაც ჩადის — არაერთი უკურნებელი დაავადება მადლიანი წყლის სმის შემდეგ უკან იხევს, რის ასეულობით შემთხვევა ექიმთა მიერ უამრავჯერ ოფიციალურადაა დადასტურებული. სარატოველმა გენეტიკოსებმა დაადგინეს: **თასში „დამზადებულ“ წყალს ორგანიზმის გენეტიკური შემადგენლობა ნორმაში მოჰყავს!**

„ფუჟერის“ წყალი ი.პოდუხევიჩმა მრავალ ქიმიურ ლაბორატორიას გაუგზავნა საანალიზოდ და მიღებულმა შედეგებმა მკვლევარებს კიდევ უფრო მეტი თავსატეხი გაუჩინა: **მასში ისეთი ქიმიური ელემენტები აღმოჩნდა, რომლებიც თასის მასალის შემადგენლობაში საერთოდ არ არის... „დამზადებულ“ წყალში სპილენძი 25-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე შენადნობში, მოლიბდენი — 40-ჯერ მეტი, ცირკონი — 10-ჯერ მეტი, სამაგიეროდ ვერცხლი, რომლის სიჭარბე შხამიანია, 100-ჯერ ნაკლებია.**

არის სხვა პარადოქსებიც: **რამდენიც უნდა აცხელოთ, წყალი ნაკეთობაში არასდროს იწევს... ცელსიუსის 82 გრადუსს ზევით!** ამ ფენომენს ფიზიკოსები ვერანაირ ახსნას ვერ უძებნიან. სამაგიეროდ შინაური ცხოველები „ფუჟერის“ წყალს უდიდესი სიამოვნებით სვამენ და მის გამო პატრონს სულ უკან სდევენ. მოურწყავი ყვავილები კი, რომლებსაც ამ „ჯადოსნურ“ წყალს უსხამენ, ყვავილობას დროზე ადრეც იწყებენ და გაცილებით დიდ ხანსაც ყვავიან.

მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები პრინციპში ერთმანეთს ემთხვევა, რომელთა თანახმად ვარაუდობენ, რომ **„ღვინის თასი“ — ჩვენსაზე უფრო განვითარებული ცივილიზაციის მიერ შექმნილი ნაკეთობაა,** მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერთა შორის ძნელად თუ მოიძებნება ისეთი, ვინც ამის თქმას გადაჭრით გაბედავს.

**ლალი ხუნდაძე**

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**ადამიანის** უფლებათა დამცველი უცხოპლანეტელთა კომისიის ანგარიშიდან:

დედამიწაზე ადამიანებს დაბადებიდანვე ატყუებენ. ჯერ სატყუარას აძლევენ, მერე ზღაპრებს უყვებიან, შემდეგ კი ცხოვრების ბოლომდე აჩვენებენ რეკლამას, ამინდის პროგნოზს და ახალ ამბებს.

* * *

**ჩემი** სურვილები რომ მოისმინა, ოქროს თევზმა თავი მოიმკვდარუნა.

* * *

**მოში** მოფამფალებული ხიდით გადადის მდინარეზე და შიშისაგან ცახცახებს.



— ღმერთო, — ბუტბუტებს, — ოღონდ მეორე მხარეს მშვიდობით გადამიყვანე და ხუთ ათას დოლარს ვაჩუქებ პირველსავე შემხვედრს.

ხიდმა ქანაობა შეწყვიტა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, ხუთი ათასი ძალიან ბევრი არ არის? ათი დოლარიც ეყოფათ.

ამის თქმა და ხიდის აქანავება ერთი იყო.

— ღმერთო, რა მოხდა, ხუმრობა არ იცი?

* * *

— **ნახევარი** ქვეყანა ინტერნეტში ზის.

— თანაც დააკვირდით, არაფრის გამო ზის!

* * *

**ცხოვრებისეული** დევიზი — რაც მეტი მძინავს, მით ნაკლებად საზიანო ვარ.

## გილოცავთ!

# გრამიტონ კვარაცხელია 85 წლისაა



ულრმესი პატივისცემით გილოცავთ 85-ე მარტის მობრძანებას კარაცხელიების დიდი საგვარეულოს ღირსეულ წევრს.

მიუხედავად თქვენი ფრთიანი გამონათქვამისა — „დასრულდა ეპოქა, მასთან ერთად ჩემი აქტიური ცხოვრებაც“, უნდა გიპასუხოთ:

არა, ბატონო გრამიტონ! თქვენი აქტიური ცხოვრება არ დასრულებულა. ჯერ კიდევ ბევრი საინტერესო საქმის წინამძღოლი უნდა გახდეთ. ჩვენ ამას დაჟინებით მოვითხოვთ.

ღმერთმა მოგცეთ მხნეობა, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, რათა კიდევ ბევრი სასიკეთო საქმეები გეკეთებინოთ თქვენი სათაყვანებელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

საუკეთესო სურვილებით,
თემურის მეგობრების სახელით,
**გურამ ახალაია, გია მახარაძე,**
**გოდერძი ბუკია, ზურაბ ერქვანია.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### გია ყრუაშვილი ასახელებს...

„თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული მდივანი გია ყრუაშვილი ასახელებს კონკრეტულ მისამართებს, თუ სად არიან დაბანაკებული სამეგრელოში სააკაშვილ-ახალაიების მიერ შექმნილი ბანდები და მათში გაერთიანებულ „რეზერვისტებს“ განზე გასვლისკენ მოუწოდებს.

**„ახლა დაგისახელებთ ორ კონკრეტულ მისამართს ზუგდიდში, სადაც სააკაშვილისა და ახალაიას შეიარაღებული ბანდები არიან დაბანაკებული — ეს არის მეუნარგიას ქუჩა და რუსთაველის ქუჩის 1 ნომერი“,** — ამბობს ყრუაშვილი.

„ასავალ-დასავალი“.

### დამატებითი ბატალიონი ავღანეთისთვის — ავსტრალიას გადავასწარით!

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავღანეთში დამატებით ბატალიონს გზავნის, რის შედეგადაც ქართული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა ავღანეთში 1700 კაცამდე გაიზრდება. დღეს ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტინგენტი ავღანეთში ავსტრალიას ჰყავს — 1550 კაცი. როგორც ჩანს, რამდენიმე კვირაში 23-მილიონიანი ავსტრალია პირველობას 4,5-მილიონიან საქართველოს დაუთმობს.

„კვირის პალიტრა“.

### ეს უახლესი ინფორმაციაა!

სააკაშვილსა და ამერიკელებს შორის მოხდა გარიგება... გადამოწმებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან მიდის... ფაქტობრივად, დასრულებულია მოლაპარაკებები მიშას ევროკავშირის სტრუქტურაში გადაყვანასთან დაკავშირებით... „ნაციონალების“ გეგმის თანახმად, **სააკაშვილი ამ შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს „ნაცმოძრაობის“ ლიდერის სტატუსს და მისი ოფისი იქნება აეროპორტის გზაზე, რომელიც „ნაცებმა“ სულ ახლახან ააშენეს.**

„ქრონიკა“.

### პოლიტიკური ქვეტექსტი პატრიარქის განცხადებაში

**„პატრიარქმა დაინახა, რომ პოლიტიკური სივრცე თვითრეგულირებადი ველარ არის და ქვეყანა მიექანება სოციალური დაძაბულობის განმუხტვის ძალიან ცუდი სცენარისკენ და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ვერ დაინახა იმის რესურსი, რომ ეს სიტუაცია განემუხტა“.** ასეთია ექსპერტთა დიდი ნაწილის შეფასება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც მან საპატრიარქოში სტუმრად მყოფ დიპლომატიურ კორპუსს „რთულ საარჩევნო პერიოდში“ დახმარებისკენ სთხოვა. ამ თხოვნით პატრიარქმა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს 23 მარტს საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე მიმართა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 95-ე წლისთავს მიეძღვნა.

**როგორც აღნიშნავენ, ეს არის პირველი განაცხადი, სადაც პატრიარქი პოლიტიკაში ერევა.**

„რეზონანსი“.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24